



იმისთანა წმინდა საცემში, ბეგბეგ ბეგ-
ურბი სიფყვას, ფყვილებით და ჭებებით ბუბ-
თის გაცანა ყულა უკადრისებდაჲ უსამაგლოსია.

გაგონის 1918 წლის
25 ივლისიდან

საქართველო


სუთშაბათი, 24 აგვისტო. 2023 წ. №97 (9629) ელ.ფოსტა: sakresp@



asp@mail.ru

ფასი 1 ლარი

რისი ეზინია დასავლეთს?!



ნ. 8 გვ.

რატომ ცდილობს ვლადიმერ პუტინი იოსებ სტალინის

რეპუბლიკასიას?!

მედიკალიზის ეს განსხვავება აბრესორი რუსეთის ახალი მუქარაა!!!

ნ. 2 გვ.



ჭკუით, უჭკუო ქართველებო!

ირაკლი ზარქვა: მავნებელი ხარტი თქვენ, ქალბატონო ყოფილო ელჩო!



ნ. 3 გვ.

გურამ მაჭარაშვილი: ღებანი იმ ქვეყნის ელჩია, სადაც გაყალბებულ პრეპონებზე ექვინსთვის პრეზიდენტს იჭერენ!

ქალაქი, როგორც ვერ სუნთქავს!



ნ. 6 გვ.

საერთაშორისო კონფერენცია

ბუნებრივი კატასტროფები და ქართული მემკვიდრეობა


ღვარცხოვანის რეგულირება ინოვაციური ნაგებობით...

ნილს ბორის კალთიდან აფრენილი ქართველი მემკვიდრე

ნ. 4-5 გვ.



მემკვიდრეობათა აკადემიის შუბნალ „მაცნეს“ წარმატება



აღნიშნული შუბნალი (მთა-
ვარი რედაქტორი აკადემიკოსი,
საქართველოს მეცნიერებათა ერ-
ოვნული აკადემიის პრეზიდენტი
როინ მეტრეველი), ფრიად პო-
პულარული სამეცნიერო გამო-
ცემა, სადაც ქვეყნდება პირველ-
ხარისხიანი ნაშრომები ქართვე-
ლოლოგიისა და კავკასიოლოგი-
ის პრობლემებზე.

შუბნალთან ინტენსიურად თა-
ნამშრომლობენ უცხოელი ქარ-
თველოლოგები. „ერიჰ პლუსი“
 („European Reference Index for
the Humanities and Social Sci-
ences“) არის ჰუმანიტარული და
სოციალური მეცნიერებების სფერო-
ში სამეცნიერო შუბნალების
საერთაშორისო მაზა, რომლითაც
ფართოდ სარგებლობს ევროპუ-
ლი სამეცნიერო საზოგადოება.
ამრიგად, შუბნალი „მაც-
ნე“ ჩართულია „ერიჰ პლუსის“
სამეცნიერო მაზაში. „მაცნეს“ ინ-
დექსირება „ერიჰ პლუსის“ სამეც-
ნიერო მაზაში არის შუბნალის ავ-
ტორიტეტის საერთაშორისო აღი-
არება, რასაც, ამავდ დროს, დი-
დი მნიშვნელობა აქვს შუბნალის
შემდგომი განვითარებისთვის.

საქართველოს მეცნიერებ-
ათა ეროვნული აკადემიის შუბ-
ნალი „საქართველოს მეცნიერ-
ებათა ეროვნული აკადემიის
მაცნე“: (ისტორიის, არქეოლო-
გიის, ეთნოლოგიისა და ხე-
ლოვნების ისტორიის სერია)
„ერიჰ პლუსის“ (ERIH PLUS)
აკადემიური შუბნალების სა-
ერთაშორისო სამეცნიერო მა-
ზაში შევიდა.

თბილისის ცენტრში თავისუფლად სუნთქვა
არათუ გაზსულის ხვატში, არამედ გაცილებით
ბრილ სემონებშიც საკმაოდ ზირს. ამდენად,
საურთხე, რომ ღელაქალაქში ღაიწყოს ხალხის
ჰაირით მოწაგვლა, სავსებით რეალურია.



მედვედვის ეს განცხადება აბრკალებს რუსეთის ახალი მუხარაკა!!!

დიმიტრი მედვედვის განცხადებით, დასავლეთმა უნდა ისწავლოს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი, მაგრამ აუცილებელი გაკვეთილი.

მან 2008 წლის ომზე ისაუბრა და თქვა, რომ ახლა ვითარება კვლავ აქტიურად მწვავდება იმისთვის, რომ უკრაინის ფლანგთან ერთად რუსეთის საზღვრებთან დამატებით კიდევ ერთი კენა შეიქმნას.

რუსეთის ფედერაციის უშიშროების სამსახურის თავმჯდომარის მოადგილე ამბობს, რომ ისევ მიდის საუბარი საქართველოს ნატოში შესაძლო გაწევრიანებაზე და აცხადებს, რომ რუსეთს არ სტინდება 2008 წლის ისტორიის გამეორება. ასევე განაცხადა, რომ აუხარებთ და სამხრეთ ოსეთის რუსეთთან შეერთების იდეა ჯერ კიდევ პოპულარულია და სრულიად შესაძლებელია, რომ განხორციელდეს.

„15 წლის 606 არანაირი ომი არ იქნებოდა, რომ არა სააკაშვილის და მისი მხარდამჭერების უპასუხისმგებლობა და დანაშაულებრივი ქმედებები. ეს არანაირად აღმოჩნდა დასავლეთისთვის იდეალური ხელთათმანი, რომლითაც არ დატოვეს საკუთარი თითის ანაბეჭდები და დარჩნენ დაუსჯელები“, – აცხადებს მედვედვი. მანვე აღნიშნა, რომ რუსეთის ჯარები 2008 წელს მოქმედებდნენ გაეროს წესდების სრულად შესაბამისად.

„ოდიოზური სააკაშვილის რეჟიმმა მიიღო მკაცრი და სწრაფი პასუხი. ხუთ დღეში მშვიდობა დამყარდა ორ მოძვე კავკასიურ რესპუბლიკაში, სადაც ჩვენი ქვეყნის ათასობით მოქალაქე ცხოვრობდა“, – დასძენს მედვედვი.

მიხეილ სარჯველაძე: კატეგორიულად მიუღებელი და არაკომპრომისო ნებისმიერი განცხადება, ქმედება, რომელიც უუთავსებელია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპთან

საკარლამენდო უმრავლესობის წევრის, მიხეილ სარჯველაძის განცხადებით, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით რუსეთის უშიშროების საგარეო მდიანის, დიმიტრი მედვედვის განცხადება კატეგორიულად მიუღებელია.

„ეს განცხადება მოვისმინეთ. საქართველოს სუვერენიტეტი, ტერიტორიული მთლიანობა, ერთი მხრივ, აღიარებულია მთელი ცივილიზებული საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან და საქართველოს პოზიციაც ამ მიმართულებით არის ურყევი, ერთმნიშვნელოვანი. ეს ნიშნავს, რომ კატეგორიულად მიუღებელი და არაკომპრომისო ნებისმიერი განცხადება, ქმედება, რომელიც იქნება უუთავსებელი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპთან. აქედან გამომდინარე, ერთმნიშვნელოვნად კატეგორიულად მიუღებელი განცხადებაა, რომელიც მოვისმინეთ იმ სახელმწიფოს წარმომადგენლისგან, რომელსაც საქართველოს ტერიტორიები აქვს ოკუპირებული.“

იმედვრით, ჩვენ ვიცით არსებული ვითარება, კონტექსტი და ამ მიმართულებით საქართველოს მიერ არჩეული პოზიცია. საქართველო ვერასდროს შეურიგდება თავისი ტერიტორიების ოკუპაციას, ვერც ერთ შემთხვევაში, ვერასდროს შეურიგდება ამ მდგომარეობას. შესაბამისად, ჩვენ ურყევად გავაგრძელებთ მრძოლას დეოკუპაციისთვის. ეს ნიშნავს, რომ საქართველო მშვიდობიანი გზით აუცილებლად შეძლებს, აღასრულოს ისტორიული სამართლიანობა, დაიბრუნოს ტერიტორია და



ამ ტერიტორიაზე მცხოვრები საქართველოს მოქალაქეები. კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ ამ მიმართულებით ურყევი ნება იქნება ის ფაქტორი, რომელიც, ადრე თუ გვიან, შევადგენებებს, რომ გავამთლიანოთ საქართველო. პირადად ჩემთვის, გადაწყვეტი მნიშვნელოვან არ უნდა ჰქონდეს ამ განცხადებას, რაც არ უნდა შეფასება მიეცეს – იქნება ეს გაფრთხილება, მუქარა თუ ნებისმიერი სხვა რამ. რასაკვირველია, ეს თანაბრად მიუღებელია საქართველოსთვის და მთელი ცივილიზებული სამყაროსთვის. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა ხელშეუხებელია, არ არსებობს ფორმა, რომელიც შეიძლება, ამ უზენაესი ღირებულების რაიმე ფორმით ხელყოფის შესაძლებლობას ქმნიდეს“, – განაცხადა მიხეილ სარჯველაძემ.

მიხეილ სარჯველაძეს კითხვით მიმართეს, რა რეაგირება ექნება ხელისუფლებას აღნიშნულ განცხადებასთან დაკავშირებით.

„ამასთან დაკავშირებით რეაგირება გახლავთ მეტი ერთგულება გაცხადებული პოლიტიკისა, რომელიც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვის მშვიდობიანი ხერხებისა და გზების გამოყენებას გულისხმობს. ადრე თუ გვიან, ეს იდეა განხორციელდება, რადგან ასეთია ისტორიული სამართლიანობა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა აუცილებლად აღდგება!..“ – განაცხადა მიხეილ სარჯველაძემ.

მისი თქმით, სპეკულაცია საუბარი იმაზე, თითქოს ხელისუფლება სდუმს.



ლევან ნიკოლეიშვილი: ნული ფასეულობა, ნული პრინციპულობა, ნული ზნეობა!..

გიორგი წლივანი, რაც ოჯახში ძალადობა და არასრულწლოვანზე ძალადობა დანაშაულებრივად ერთად ძალიან სამარცხვინო საქმე გახდა და ამ მხრივ კანონმდებლობაც გამკაცრდა, საზოგადოება შეთანხმდა, რომ არათუ უნდა ჩაერიო მსგავს საქმეში, არამედ გვერდზე გახედვა და გულგრილობა მსგავსი დანაშაულების მიმართ უზნეობაა, – წერს ექსპერტი ლევან ნიკოლეიშვილი თუა გოდოლაძის საქმეზე, რომელიც არასრულწლოვანის მიმართ ძალადობაშია ბრალდებული.

ნიკოლეიშვილის განცხადებით, ქართველ საზოგადოებაში ამ საკითხის შესახებ არსებული კონსენსუსი მიუხედავად, რადიკალური ოპოზიცია ცდილობს, არასრულწლოვანზე ძალადობა პირად ცხოვრებად გაასაღოს.

ექსპერტს ამის მაგალითად „ლელოს“ წევრის, ანა ნაცვლიშვილის განცხადება მოჰყავს, რომელიც „ქართულ ოცნებას“ ადამიანების პირად ცხოვრებაში ქვეყნისთვის თავის დანებებას ურჩევს.

„ბოლო წლებში, რაც ოჯახში ძალადობა და არასრულწლოვანზე ძალადობა დანაშაულებრივად და-

ლიან სამარცხვინო საქმე გახდა და ამ მხრივ კანონმდებლობაც გამკაცრდა, საზოგადოება შეთანხმდა, რომ არათუ უნდა ჩაერიო მსგავს საქმეში, არამედ გვერდზე გახედვა და გულგრილობა მსგავსი დანაშაულების მიმართ უზნეობაა.

ქართულ საზოგადოებაში რომ მსგავსი კონსენსუსი შემდგარიყო, ამაში დიდძალი ენერჯია დაიხარჯა და სამედნიეროდ, ძალიან კარგი შედეგი დადგა. და აი ამ დროს, ოღონდ „თავისიანი“ გადაერჩინათ, რადიკალურმა ლიბერალურმა ბაზლმა ხაზი გადაუსვა თავის „ღირებულებებს“ და არასრულწლოვანზე ძალადობა „პირად ცხოვრებად“ გაასაღა. აი ეს არის მათი რეალური სახე, ეს არის დღეს ქართველი ლიბერალის ამორალური პორტრეტი. ნული ფასეულობა, ნული პრინციპულობა, ნული ზნეობა. როგორც კი მათი მოკავშირე იქნა მხილებელი ცუდ საქციელში, ყველაფრის ფასად დაიწყეს მისი დაცვა. სწორედ ამიტომ, ქართველი ფსევდოლიბერალის ადგილი იქნება მუდმივად ნაკავსაყრელზე!“, – წერს ლევან ნიკოლეიშვილი Facebook-ზე.



ქვიშა გვენეტაძე: რა სამარცხვინო ხალხი ცდილობს დღეს მოკალისტობას!

როდესაც თუა გოდოლაძის მხრიდან არასრულწლოვანზე ძალადობის ფაქტი გასაჯაროვდა – ეგრევე „პირად ცხოვრებად“ გაასაღეს და ბოლომდე გადაეფარნენ თავიანთ მოკავშირეს...აი, ასეთი სამარცხვინო ხალხი ცდილობს დღეს მოკალისტობას! – წერს ექსპერტი ედიშერ გვენეტაძე თუა გოდოლაძის საქმესთან დაკავშირებით.

„ქართველი ლიბერალის ორმაგი სტანდარტი ორ წინადადებაში. როდესაც ნიკოლოზ მასილაშვილის საქმე გასაჯაროვდა, მთელმა ლიბერალურმა ბაზლმა გადათელა ქართველი ჩოგბურთელი, მოძალადედ გამოაცხადა და ჯვარს აცვა, თუმცა შემდეგ აღმოჩნდა, რომ დამნაშავე არ ყოფილა.“

როდესაც თუა გოდოლაძის მხრიდან არასრულწლოვანზე ძალადობის ფაქტი გასაჯაროვდა – ეგრევე „პირად ცხოვრებად“ გაასაღეს და ბოლომდე გადაეფარნენ თავიანთ მოკავშირეს...

აი, ასეთი სამარცხვინო ხალხი ცდილობს დღეს მოკალისტობას!!!“



საქსტატი: საქართველოში რკინიგზით უპროტანული ტვირთის მთლიანი მოცულობის 53.2% რუსეთიდან გაემიგრავა

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) მონაცემებით, 2023 წლის II კვარტალში საქართველოს რკინიგზის მიერ გადაყვანილია 568.9 ათასი მგზავნი, რაც გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს 47.4 პროცენტით აღემატება. საქსტატის ცნობით, ამავე პერიოდში მგზავრთმზუნვის მოცულობამ 176.9 მლნ. მგზავრ-კილომეტრი შეადგინა, რაც 50.9 პროცენტით მეტია გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.

„2023 წლის II კვარტალში ადგილობრივი მიმოსვლის რეჟიმში გადაყვანილია 560.2 ათასი მგზავნი, რაც რკინიგზით გადაყვანილი მგზავრების მთლიანი რაოდენობის 98.5 პროცენტს შეადგენს და გა-

სული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს 48.7 პროცენტით აღემატება. საერთაშორისო მიმოსვლის რეჟიმში გადაყვანილია 8.7 ათასი მგზავნი, რაც გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე 6.0 პროცენტით ნაკლებია. საერთაშორისო მიმოსვლის რეჟიმში გადაყვანილია მგზავრების 60.7 პროცენტი შემოვიდა სომხეთიდან, ხოლო სომხეთის მიმართულებით გავიდა 39.3 პროცენტი (2023 წლის II კვარტალში აზერბაიჯანის მიმართულებით მგზავრთა გადაყვანა არ განხორციელდა)“, – აღნიშნულია გავრცელებულ ინფორმაციაში.

„საქსტატის“ ცნობითვე, 2023 წლის II კვარტალში საქართველოს რკინიგზით გადატა-

ნილია 3.5 მლნ. ტონა ტვირთი, რაც გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე 8.2 პროცენტით ნაკლებია. აღნიშნული მოცულობის 10.7 პროცენტი მოდის ადგილობრივ გადაზიდვაზე, 31.2 პროცენტი – საერთაშორისო გადაზიდვაზე (არ მოიცავს ტრანზიტს), ხოლო 58.1 პროცენტი – ტრანზიტზე.

„2023 წლის II კვარტალში საერთაშორისო გადაზიდვის რეჟიმში რკინიგზით გადატანილი ტვირთის მოცულობის 29.2 პროცენტი ქვეყნიდან გატანილ ტვირთზე მოდის, ხოლო 70.8 პროცენტი – ქვეყანაში შემოტანილ ტვირთზე.“

2023 წლის II კვარტალში რკინიგზით შემოტანილი ტვირთის მთლიანი მოცულობის 53.2 პროცენტისათვის გამოგზავნა ქვე-

ყანას რუსეთის ფედერაცია წარმოადგენს, 26.7 პროცენტისათვის – აზერბაიჯანი, 3.3 პროცენტისათვის – თურქმენეთი, 2.6 პროცენტისათვის – რუმინეთი, 2.3 პროცენტისათვის – თურქეთი, 1.0 პროცენტისათვის – ჩინეთი, 1.0 პროცენტისათვის – გელაბრუსი, 0.5 პროცენტისათვის – ყაზახეთი.

2023 წლის II კვარტალში რკინიგზით გატანილი ტვირთის მთლიანი მოცულობის 20.0 პროცენტისათვის დანიშნულების ქვეყანას ყაზახეთი წარმოადგენს, 11.5 პროცენტისათვის – სომხეთი, 8.5 პროცენტისათვის – რუსეთის ფედერაცია, ხოლო 4.3 პროცენტისათვის – აზერბაიჯანი.



ირაკლი ზარქუა: მავნებელი ხარტი თქვენ, ქალბატონო ყოფილო ელჩო!

ჩვენი მთავარი პარტნიორი, რომელიც უნდა იყოს მხარდამხარი დემოკრატიული პროცესების, სიმშვიდის, ქალბატონი დეგანის, რომელიც არის აზრ-ის-სხარამომადგენელი, კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ელექტრონულ არჩევნებს, რომელიც მათი რეკომენდაციით დაგეგმვით!

მავნებელი ხარტი თქვენ, ქალბატონო ყოფილო ელჩო, - ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა, ირაკლი ზარქუამ აშშ-ის ელჩ კელი დეგანის მიერ „რადიო თავისუფლებისთვის“ მიცემული ინტერვიუს კომენტარების განაცხადა, სადაც არჩევნების შესახებ არის საუბარი.

„რა გამოდის, რომ ჩვენი მთავარი პარტნიორი, რომელიც უნდა იყოს მხარდამხარი დემოკრატიული პროცესებისა და ქვეყნის განვითარების, სიმშვიდის, ქალბატონი დეგანის, რომელიც არის ჩარმომადგენელი, კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ელექტრონულ არჩევნებს, რომელიც მათი რეკომენდაციით დაგეგმვით. უფრო მეტიც, პრაქტიკაში გამოვიყენებთ ახლა. შუალედური არჩევნები გვექნება, მათ შორის კრწანისში, თერჯოლაში და ასე შემდეგ, ავინჩიეთ მერე და ვაპირებთ, გორში გამოვიყენებთ ოქტომბრის თვეში შუალედურ არჩევნებში.“

სადაც ჩატარდა ელექტრონულად, არცერთი პრობლემა, ხარვეზი არ გამოვლენილა და ყველა, მათ შორის საერთაშორისო დამკვირვებლებსაც, აღკვეთილება არასამთავრობოებშიც თქვენს, რომ კი, ეს გამართულია და მოქმედებს. ახლა ამის რომ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებ 2024-ში, მავნებელი ხარტი თქვენ, ქალბატონო ყოფილო ელჩო, პირდაპირ ვითხრობთ, თქვენ ვერ გაითავისებთ, ვერ გაითვალისწინებთ, რომ არა პარტიის წარმომადგენელი, არამედ სახელმწიფოს წარმომადგენელი იყავით. იმ სახელმწიფოს, რომელიც იმდენი იმედებს გამყარებთ დღემდე და მომავალშიც დაგამყარებთ, რომ ჩვენ ვერაპულ და ვერაბტლანტიკურ ინტეგრაციაში ვიდევ უფრო მეტად წინ წაწვივით, მეტად დემოკრატიული საზოგადოება ავაშენოთ და ეს ქვეყანა გავხადოთ მეტად დემოკრატიული, ძლიერი, ეკონომიკურად განვითარებული. თქვენ, სამწუხაროდ, ამ მიმართულებით არცერთი ნაბიჯი არ გადავიდგამთ, ისევე როგორც დღემდე არ აქვს საქართველოს თავისუფალი ვაჭრობა ამერიკის შეერთებულ შტატებთან და თქვენ ამისთვის არაფერი გავიკეთებთ, არც უფრო მიმოსვლა აქვს საქართველოს ამერიკის შეერთებულ შტატებთან და ამისთვის არაფერი გავიკეთებთ, არც ინვესტიცია მოგიპოვებთ...“

ესევე კითხვას - ანაკლიის პორტში რატომ არ დევს ამერიკული ფული, რატომ არ გამოხვედით ინიციატივით თქვენ ან სხვები. ყაზახურ ინვესტიციებს ვტყუნიდა ის, ვინც იყო იქ შენადი. რატომ არ არის? ჩამოდიოთ და ჩადეთ ფული. ხომ არის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი თქვენთვისაც. არ გამოვა ასე ორმაგი სტრანდარტით, ვწუხვარ ამის თქმის საშუალება რომ მომეცით, მაგრამ ეს თქვენ შრძანეთ. ქართული ერი, უდიდესი ცივილიზაციის, კულტურის, განათლების მქონე საზოგადოება ვართ და რამენაირად იმასაც გავარკვევდით და გავარკვევით.



ელექტრონულად როგორ შეიძლება, მონაწილეობა მივიღოთ არჩევნებში.

ძალიან ვწუხვარ, ქალბატონო ელჩო, მაგრამ თქვენ, როგორც ელჩი, ვერ შედექით და ეს უნდა ითქვას. ვწუხვარ, თქვენ პოლარიზაცია გაზარდეთ ქართულ საზოგადოებაში თქვენი საქმიანობით, თქვენი განცხადებებით და ამის დემონსტრირება ის, რაც ბოლოს მოვისმინეთ. ჩვენი პარტნიორები, მათ შორის თქვენ და ყველა, საზოგადოება გვიჩვენებდა, რომ ელექტრონული არჩევნები 100 პროცენტით გამოგვიყენებია საქართველოში, რომელიც იქნებოდა მყარი და ყოველგვარი მანიპულაციებისგან დაცული, თურმე ესეც არ მოგწონთ. რატომ? იმიტომ, რომ ალბათ თქვენ იყავით ერთ-ერთი შემომამდი, რომ აქ რეპორტაჟი ტალდა აპროვანდირდით და 3-4-ჯერ ჩვენ ეს ჩავახვეთ, რადგან საქართველოს და მისი მოსახლეობის უმრავლესობის ინტერესებში არასდროს შედიოდა ქალბატონი დეგანის, რომელიც არის ჩარმომადგენელი, რომელიც თქვენს მხარეს იყო, რომელიც თქვენს მხარეს იყო, რომელიც თქვენს მხარეს იყო, რომელიც თქვენს მხარეს იყო...“

მქონდა მცდელობა, ბოლოს ლამაზად, ლამაზი სიტყვებით გამეცლინებინეთ, მაგრამ სამწუხაროა, რომ ასე მოხდა. ასე რომ, Goodbye, my darling“, - განაცხადა ირაკლი ზარქუამ...

გურამ მაჭარაშვილი: დებანი იმ ქვეყნის ელჩია, სადაც გაყალბებულ არჩევნებზე ექვისტის პრეზიდენტს იჭერენ!

ყოფილი ელჩის ეს ინტერვიუ ჩვენ შეიძლება, გავიგოთ როგორც სასოწარკვეთილი დიპლომატის განცხადება. ის მიხვდა, რომ ვერც ელექტრონული და ვერც არაელექტრონული საარჩევნო სისტემით რადიკალურ ოპოზიციას ხელისუფლებაში ვერ მოიყვანს, რაც მას დაუაღებელი ჰქონდა გლობალური ომის პარტიისგან. ამიტომ, ბუნებრივია, ის სასოწარკვეთილი ამთავრებდა და დაამთავრა თავისი ელჩობის პერიოდი და ეს ბოლო ინტერვიუ იყო მცდელობა იმისა, რომ დემონსტრირებულიყო ნაღველი და ეტოვებინა საქართველოში. მანაც იცის, რომ ეს არ გამოუვა, მაგრამ მისი ბოლო ინტერვიუ იმის დასტურია იყო, რომ „ხალხის ძალის“ პოლიტიკა სწორია, რომ საზოგადოებამ სიმართლე უნდა იცოდეს.

სხვა შემთხვევაში, ხომ წარმოვიდგინებთ, რომ საზოგადოების რა ნაწილი აღმოჩნდებოდა დემონსტრირებული მანქანის ზეგავლენის ქვეშ. მისი ეს ინტერვიუ, ერთი მხრივ, სასოწარკვეთილი დიპლომატის ინტერვიუა, რომელსაც არაფერი რადიკალური მიმართულება არ გამოუვიდა და მეორე მხრივ, იმის დასტურია, რომ „ხალხის ძალის“ პოლიტიკა გასაგრძელებელია, რათა ხალხმა სიმართლე იცოდეს და დემონსტრირებულიყო მსხვერპლი არ აღმოჩნდეს. ეს იმ ქვეყნის ელჩია, რომელ ქვეყანაშიც გაყალბებული არჩევნების ეჭვის გამოთქმისთვის საკუთარ პრეზიდენტს იჭერენ და თურმე საქართველოში გაყალბებული არჩევნები ენჯეომ რომ აღიანა, ეს საზოგადოებრივი ენჯეო ყოფილა!..“

მისი თქმით, დღეს, როდესაც ელჩი გამოდის და ურცხვად ამბობს ქართული საზოგადოების წინაშე, რომ თურმე ელექტრონული არჩევნები კითხვის ნიშნის ქვეშ ყოფილა, ეს გასაგებია, რასაც ნიშნავს.

...დაწმენდნენ, მათ შორის ელჩი, რომ ელექტრონული-არაელექტრონული არჩევნები არ უშველის რადიკალურ ოპოზიციას. ერთი წლის წინ, რამდენიმე თვის წინ, წელიწად ნახევრის წინ თავად ელჩი, საელჩო, ევროკავშირი, „პარლ მიშელის შეთანხმება, ყველა ამას ამბობდა, რომ ელექტრონული არჩევნები ეს არის კარგი და ეს ცვლილებები რომ მივიღოთ, კარგია. ეუთო/ოდიშმა თქვა, ვენეციის კომისიის დასკვნა იყო და ა.შ. ეს ხომ ხალხს ახსოვს. დღეს, როდესაც გამოდის ელჩი და ასე ურცხვად ამბობს ქართული საზოგადოების წინაშე, რომ თურმე ელ-



ის მიხვდა, რომ ვერც ელექტრონული და ვერც არაელექტრონული არჩევნებით რადიკალურ ოპოზიციას ხელისუფლებაში ვერ მოიყვანს!

ელექტრონული არჩევნები კითხვის ნიშნის ქვეშ ყოფილა, ეს გასაგებია, რასაც ნიშნავს. არის დამოღობილი, რომ ვერ შეასრულა ის მისია, რაც დაავისრულეს, უკანონოდ ხელისუფლების შეცვლა და ახლა ამ სასოწარკვეთილმა დიპლომატმა ბოლო მცდელობას მიმართა, რომ რაღაც ნაღველი დატოვოს, რათა ერთი წლის შემდეგ არჩევნები რომ იქნება, შეიძლება, ის გაყალბდეს. ეს ხომ როგორც სულ მცირე მეგობრის განცხადება ნამდვილად არ არის და იმ ადამიანის განცხადება, რომელსაც სურს საქართველოში ნორმალური არჩევნები, არამედ იმ ადამიანის, რომელიც დარწმუნებულია, რომ საქართველოში ხელისუფლებაში ოპოზიცია არჩევნებით ვერ მოვა და უნდა რევოლუციური გზების წახალისება“, - განაცხადა მაჭარაშვილმა.

საქართველოში აშშ-ის ელჩმა, კელი დეგანმა „რადიო თავისუფლებისთვის“ ინტერვიუში განაცხადა:

„მომხარება, ჩემი რჩევა უფრო ამოხრავს ამოხრავს იმდენად განათმობილი, გამორდით და მიიღეთ მონაწილეობა არჩევნებში. უზრუნველყავით, რომ თქვენი ხმა იყოს გაგონილი და თქვენი არჩევანი - დათმობილი“. დეგანის თქმით, აშშ-ის საელჩო მხარს დაუჭირა ამომრჩევლის განათლების კამპანიას, რომელიც ადამიანებს დაუხმარებდა არა მხოლოდ იმის გაგებაში, რატომ არის მათი ხმა მნიშვნელოვანი, არამედ იმაშიც, რომ აქ კონკრეტულ არჩევნებში, რომელ არჩევნებში 90 პროცენტით ხმის მიცემის ელექტრონულ სისტემაზე გადადის, ამომრჩევლებმა იმდენად, ეს როგორც მუშაობს. „აშშ-შიც ვნახეთ, ელექტრონული სისტემა არ იძლევა გარანტიას, რომ ყველაფერი სუფთა და საბარტლიანი იქნება. მისი მნიშვნელობა შესაძლებელია, თუკი ადამიანები არ არიან განვრთმობილი ამ სისტემის გამოყენებაზე და თუ ამომრჩევლებს არ ესმით, ის როგორ მუშაობს, - თქვა კელი დეგანმა.“

სამეპარტო სამუშაოები უწყვეტ რეჟიმში გრძელდება

„21-ე დღეა, რაც უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს სამეპარტო სამუშაოები, როგორც უკონტროლო შოვის ტერიტორიაზე, ისე მდინარე ჭანჭახისა და რიონის კალაპოტებში. მდინარის კალაპოტებში მოზილიზებულია ცოცხალი ძალა. მძიმე ტექნიკის საშუალებით ხდება მდინარის კალაპოტების ფორმირება. ასევე, მყურავი საშუალებებით, მოზილიზებულია კინოლოგთა ჯგუფი. საძიებო სამუშაოების პერიმეტრი გაზრდილია ამშროლოაურამდე. 29 დეკანგულის ცხედარია ნაპოვნი, ოთხ დაკარგულ მოქალაქეზე გრძელდება საძიებო სამუშაოები, 27-ის იდენტიფიცირება უკვე მოხდა. პერიოდულად ხდება მონიტორინგი მთებზე, სამი დღის წინაც განხორციელდა მწვერვალების შემოფარენა და მონიტორინგი. გეოლოგები და გარემოს ეროვნული სააგენტოს ჯგუფი არის მონიტორინგში ჩართული. ინფორმაციის კუთხით მოსახლეობასთან შეხვედრას პერიოდულად გავაგრძელებთ და რაც მოთავსდება, გავაგრძელებთ მათ გვერდში დგომას“, - განაცხადა რაჭის გუბერნატორმა პაპუნა მარგველიძემ.



ბუნებრივი კატასტროფები და ქართული მეცნიერება



21 აპრილი, 2023, კონფერენციის ბახსნა

დავით გურგენიძე, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორი, პროფესორი ერეკლე ასტახიშვილი, იტალიელი მეცნიერი, ირიგაციისა და დრენაჟის საერთაშორისო კომისიის საპატიო ვიცე-პრეზიდენტი, პროფესორი მარკო არჩიერი, თურქეთის კარდენიზის ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი კადირ სეიჰანი, აკადემიკოსი გივი გაგარდაშვილი და სხვები.

აქვე გაიმართა უაღრესად საგულისყურო პრეზენტაციები. კონფერენციის მსვლელობისას სტუმრები გაეცნობიან და ესტუმრებიან ჟინვალის მინის კაშხალს, ღვარცოფსა და სხვადასხვა ნაგებობებს, ღვარცოფსარეგულაციო ელასტიკურ ბარაჟს მდინარე მლეთის ხევის კალაპოტში, თოვლის ზვავის სანაღმდეგო ინოვაციურ კონსტრუქციას და სხვ.

ღვარცოფების რეგულირება ინოვაციური ნაგებობით...

მიმდინარე წლის 21-26 აგვისტოს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სოფლის მეურნეობის განყოფილებაში და გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს (ESOCOC) საკონსულტაციო სტატუსის ორგანიზაცია, ა(ა)იპ გარემოს დაცვის ეკოცენტრის თაოსნობით, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გამოყენებითი კვლევების საგრანტო პროექტის „ღვარცოფსანაღმდეგო ელასტიკური ბარაჟი“ (AR-18-1244) ფარგლებში და დაფინანსებით, იმართება საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია – „ღვარცოფების რეგულირება ინოვაციური ნაგებობით“, სადაც მონაწილეობას იღებენ მეცნიერ-სპეციალისტები იტ-

ალიიდან, თურქეთიდან, უკრაინიდან, აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან, ბელარუსიდან და საქართველოდან. 21 აგვისტოს კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა და საპატიო სტუმრებს მიესალმა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი როინ მეტრეველი. კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, რომელიც მეტად წარმომადგენლობითია, გახლავთ აკადემიკოსი გივი გაგარდაშვილი. აღსანიშნავია, რომ ეს სამეცნიერო კონფერენცია დღეს მეტად აქტუალურია. სულ ცოტა ხნის წინ საქართველოში და კერძოდ, შოვეში დიდი მასშტაბის ღვარცოფი წარმოიქმნა. საქართველოში და არა მხოლოდ ჩვენს

ქვეყანაში, მსგავსი ბუნებრივი კატაკლიზმები ხდება და სამწუხაროდ სტიქია ჩვენი ცხოვრების თანამდევია. მთელს მსოფლიოში ამის მსგავსი სტიქიური უბედურებების წინააღმდეგ დიდი ბრძოლაა გამოცხადებული. ამ მხრივ საქართველო გამონაკლისი არაა. ღვარცოფი, ზვავი, მენყერი და სხვა მოვლენები ხშირად არაპროგნოზირებადია. თუმცა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნები ცდილობენ ინოვაციური საშუალებებით თავი აარიდონ მსგავს მოვლენებს. სწორედ ამ საკითხებზე გამახვილდა ყურადღება კონფერენციის მსვლელობისას. კონფერენციის მიესალმნენ და სიტყვებით გამოვიდნენ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი

აქვე გათავაზოვდა ჩვენს კორესპონდენტის ქაპლუბიურ ჩანაწერებს აკადემიკოს გივი გაგარდაშვილთან გულახდილი დიალოგის შედეგად.

ნილს ბორის კალტიდან აფრენილი

მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი მეცნიერი, კვანტური ფიზიკის ფუძემდებელი, ნობელის პრემიის ლაურეატი ნილს ბორი 1961 წელს საქართველოს ესტუმრა. კვანტური ჰიდროდინამიკის ცნობილი მკვლევარმა, ქართველმა აკადემიკოსმა ელენფთერ ანდრონიკაშვილმა საპატიო სტუმარი კახეთში წაიყვანა და იქაური ღირსშესანიშნაობები დაათვალიერებინა. დაღლილები ახმეტის რაიონის სოფელ ოუიოში გაგარდაშვილთან მიიპატიჟეს. ოუიოში პატარა მიტუნა დარბოდა. უცხოელმა სტუმარმა ბავშვი კალთაში ჩაისვა და მოფერებდა დაუწყო. ეს იყო თითქოს ნათლობა, თითქოს მეცნიერული კურთხევა, რადგან მაშინ სამი წლის გივი გაგარდაშვილი წლების მერე გახდა მსოფლიოში ცნობილი მეცნიერი, უამრავი ჯილდოს მფლობელი და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი. **გივი გაგარდაშვილი:** ახმეტის რაიონის სოფელ ოუიოს სკოლაში სწავლის პერიოდში კახეთის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის მშენებლობა. ეს ძალიან მნიშვნელოვანი რამ იყო მელიორაციის კუთხით კახეთისთვის და კერძოდ, ახმეტისთვის. მაშინ დაავინტერესდა ამ სპეციალობით...

კასიის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტად გადაკეთდა. ინსტიტუტს სხვადასხვა დროს ანაქართველი დირექტორები ხელმძღვანელობდნენ, მაგრამ... ერთ მშვენიერ დღეს ინსტიტუტს პირველი ქართველი დირექტორი, პროფესორი მიხეილ გაგარდაშვილი მოეწვინა, მას შემდეგ კი, 38 წლის განმავლობაში, ინსტიტუტის მეთაური გახლდათ აკადემიკოსი ცოტნე მირცხულავა. 1929 წელს ინსტიტუტს ეწოდა საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი. 1992 წლიდან ინსტიტუტს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წყალთა მეურნეობისა და საინჟინრო ეკოლოგიის ინსტიტუტი ეწოდა. გივი გაგარდაშვილი ინსტიტუტის მეთაურ დირექტორია.

1987 წლიდან მოყოლებული გივი გაგარდაშვილი სხვადასხვა წლებში გახლდათ საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტში ღვარცოფული ნაკადების ნატურაში კვლევის სექტორის ხელმძღვანელი; ამავე ინსტიტუტში სამთო მელიორაციის განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წყალთა მეურნეობისა და საინჟინრო ეკოლოგიის ინსტიტუტის ღვარცოფული ნაკადების ნატურაში კვლევის სექტორის ხელმძღვანელი; პარალელურად, შეთავსებით, არის შპს საქართველოს რკინიგზის ინსტიტუტის კათედრის გამგე; შპს საქართველოს რკინიგზის ინსტიტუტის პროექტორი სასწავლო და სამეცნიერო დარგში; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წყალთა მეურნეობისა და საინჟინრო ეკოლოგიის ინსტიტუტის ეროვნულ-ღვარცოფული პროექტების ლაბორატორიის ხელმძღვანელი; სსიპ წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის დირექტორი; მისი სამეცნიერო ხელმძღვანელობით დასრულია 10-ზე მეტი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია; 2006-2011 წწ იყო სსიპ წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე; 2019 წლიდან – დღემდე ინიციატივისა და დრენაჟის საქართველოს ეროვნული კომისიის ვიცე-პრეზიდენტი; 2010 წლიდან – დღემდე ა(ა)იპ გაეროს სოციალურ-ეკონომიკური საბჭოს (ECOSOS) საკონსულტაციო სტატუსის მქონე ორგანიზაცია ა(ა)იპ გარემოს დაცვის ეკოცენტრის დირექტორი; 2007 წლიდან აკადემიკოსი გ. გაგარდაშვილი ლექციებს კითხულობს მიწვეული პროფესორის სტატუსით ცენტრალური ჩინეთის ნორმალის უნივერსიტეტში (ქ. ვუჰანი); მელორუსის სახელმწიფო უნივერსიტეტში (მინსკი); მრესტის პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში, ვანშაის სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების უნივერსიტეტში, ოლშტინის ვარშა-მაზურის უნივერსიტეტში, 2017 წელს იგი ევრო-



აკადემიკოს გივი გაგარდაშვილს გამომქვეყნებული აქვს 270-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, აქედან 13 მონობრაშია მსოფლიოს 12 ენაზე, ღამხმარე სახელმძღვანელო და რეკომენდაციები – 20, საქართველოს კონფერენციებში და სიმპოზიუმებში მონაწილეობა – 75, არის ავტორი 24 გამომცემისა. დაბრუნებული აქვს 39 პროექტი, პრაქტიკაში განხორციელებული აქვს 13 პროექტი.



სამიარუსიანი დრენაჟი

კავშირის პროგრამის „Erasmus +“-ის ფარგლებში ლექციებს კითხულობდა კაუნასის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტში და ა.შ. **გივი გაგარდაშვილი:** ინსტიტუტის დირექტორობის პირველ წლებშივე ინტენსიურად დაიწყეთ მუშაობა ევროკავშირის საგრანტო პროექტებზე შავი ზღვის სამეცნიერო ქსელის შექმნა. ამ პრობლემებზე 6 წლის განმავლო-



თოვლის ზვავის საინალმდებო ნაბჯობა

ბაში ვმუშაობდით ნიდერლანდებთან და ევროპის 16 ქვეყანასთან ერთად, რომელშიც მონაწილეობდა, დაახლოებით, 50-ზე მეტი სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაცია. მალე შეეძლო ის, რომ ჩვენთვის ნატოს პროგრამაში - წყლის რესურსების მენეჯმენტი სამხრეთ კავკასიის ტრანსსასაზღვრო აგროეკოსისტემებში, რითაც გავხდით ნატოს პროექტების დამხმარევი პირველი ორგანიზაცია სამხრეთ კავკასიაში.

თანამშრომლობის ხელშეწყობა დაეძღვა მსოფლიოს 33 ქვეყანასთან. მათ შორის არიან: აშშ, პოლონეთი, რუმინეთი, უნგრეთი და სხვ. ვახორციელებთ ერთობლივ სამეცნიერო სამუშაოებს, საგრანტო პროექტების მომზადებას, ახალგაზრდა კადრების გაყვლას.

ინსტიტუტში არსებობს ჰიდროტექნიკური ლაბორატორია; მიმდინარეობს კვლევები სხვადასხვა მიმართულებით, როგორც ეროვნული პროცესების შესწავლა-მონიტორინგის თვალსაზრისით, ასევე წყალდიდობების საწინააღმდეგო ღონისძიებების მიმართულებით. ჩვენი მოქმედებების არაერთი მოიცავს ჰიდროტექნიკური ნაგებობების მშენებლობას, საინჟინრო-ეკოლოგიის განვითარებას გარემოს დაცვის კუთხით, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში გვაქვს სამეცნიერო-კვლევითი ბაზები; მაგალითად, ფოთში, მალთაყვამი, ვიკვლევთ შავი ზღვის პროექტის ფარგლებში ქალაქ ფოთში და ვაფუძნებთ შავი ზღვის მეცნიერული კვლევის ომსერვატორიას;

ჩვენი ინსტიტუტი არის საქართველოს ნიადაგების ეროვნული სახელმწიფო პროგრამის ავტორი, ამჟამადაც ვმუშაობთ, რომ მოვახდინოთ ამ პროგრამის განახლება, კლიმატის ცვლილებების გათვალისწინებით და ვაპირებთ, მთავრობის წინაშე დავესაუბროთ პროგრამის დაფინანსებასთან დაკავშირებით.

მოგეხსენებათ, ჰესების მშენებლობა აქტუალური და ამასთანავე, მტკიცეული თემაა საზოგადოებისთვის. ამ საკითხებში ჩვენც ვართ ჩართული. მე გახლავართ ნამახვანის გარემოზე ზემოქმედების სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარე.

რაც შეეხება ჩვენს უახლეს ტრაგედიას, შოში იყო გუნდის სტიქია, რომელსაც წინასწარ ვერაპირებდით ინფორმაციის გაცემის შესახებ. როგორ ხდებოდა ინფორმაციის გაცემა?

2018 წელს, ჩვენს ქვეყანაში ინოვაციური გრანტების კონკურსი პირველად ტარდა. შეიქმნა კონსორციუმი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი, აიპი-ი გარემოს დაცვის ეკოცენტრი და შპს გეოლოგიური სააგენტო და წარადგინეს შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდში საკონკურსო. პროექტი გაიმარჯვა, მოვიპოვეთ 1 მლნ ლარი და ჩავატარეთ ნაგებობის მსხვილმასშტაბიანი ლაბორატორიული მოდელირება წყალთა მეურნეობის ინსტიტუტში და დაგეგმეთ მეთოდოლოგია, ამ მეთოდოლოგიის გამოყენებით, ჩვენმა ოთხმა თანამშრომელმა დაიცვეს სადოქტორო დისერტაცია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტზე. დოკუმენტაციები წარვადგინეთ საპარტნიორო სამეცნიერო-ტექნიკურ სამჭოზე და დამუშავი ნაგებობა ავაგეთ მლეთის ხეობაში წმინდა გიორგის ეკლესიასთან. ნაგებობა აშენდა 2020-22 წლებში და წლეულს მისის თვეში რომ ჩამოვიდა მძლავრი ღვარცოფი, ნაგებობამ გამოიყარა წარმატებით ჩაბარა.

ეს იყო ჩვენს ქვეყანაში პირველი საცდელ-საექსპერიმენტო კონსტრუქცია. მანამდე მსგავსი სახის საგრანტო პროექტები წარუდგინეთ არასამთავრობო ორგანიზაცია „გარემოს დაცვის ეკოცენტრს“, რომელსაც აქვს გარეოს სოციალ-ეკონომიკური ორგანიზაციის სტატუსი.

დიდი პროექტები განაგრძობთ მათაშობით, სოფელ ჰვარგოლის დასაცავად. პირველად ჩვენს ქვეყანაში და შეიქმნა ითქვას, სახმრეთ კავკასიაში, ჰვარგოლში მოვახდინეთ აქტიური ხრამში კალაპოტური ეროვნული პროცესების რეგულირება მტრის 4 გარაჟის მშენებლობით.

შევიყარის თანამშრომლობისა და განვითარების სააგენტოს (SDC) დახმარებით პროექტი განვახორციელებთ ლენტეხის რაიონში. მოხერხდა მდინარე ტვიმრას რეგულირება ხის ბარაჟების მოწყობით და მცირე სიმძლავრის მეწყრების რეგულირება ფერდობებზე „მუშლაკების“ დამონტაჟებით. შ. რუსთაველის სამეცნიერო საგრანტო პროექტის ფარგლებში მოვახდინეთ მოწყობილი ინფრასტრუქტურების შეფასება და მოსახლეობის უსაფრთხოება უზინგალის მიწის კაშხლის შესაძლო ავარიის შემთხვევაში, ანუ რა ტალღა

წამოვა ავარიის შემთხვევაში, რა სისწრაფით და სიმძლავრით და რომელი ტერიტორიები დაიტბორება წყლით, განსაზღვრულია მაღალი რისკის ზონები, რა უნდა იცოდეს მოსახლეობამ, რომ საფრთხეები თავიდან აიცილოს და ა.შ. გავროს სტანდარტების მიხედვით დაგეგმვავეთ სტრატეგიული მოქმედებების ნუსხა, როგორ უნდა შეადგინოს თავდაცვითი გეგმა ადგილობრივმა მმართველობამ ბუნებრივი კატასტროფების მოხდენის შემთხვევაში.

სამეცნიერო ფონდის გამოყენებით კვლევების საგრანტო პროექტის CARYS-19 - 305 „თოვლის ზვავის საწინააღმდეგო ინოვაციური კომპლექსური ღონისძიება“ ფარგლებში (დამფინანსებელი მსოფლიო ბანკი) ჩავატარეთ სამეცნიერო კვლევები და განვახორციელებთ პრაქტიკაში მისი დანერგვა, ვერძოდ, საქართველოს სამხედრო გზის გუდაურის ალპურ უბანზე ავაშენეთ კონსტრუქცია, რომელიც განკუთვნილია თოვლის ზვავის საწინააღმდეგოდ.

გავიმარჯვეთ ასევე გავრთიანებული ფრების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის UNESCO-ს პროექტში - „მუნებრივი კატასტროფების პროგნოზირება და რისკების შემცირების ინოვაციური ღონისძიებები“. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს 2023 წელს

NATO-ს საგრანტო პროგრამაში გაბარებულ. მუშაობდა თითქმის 4 წელი, გრანტის დასახელება არის - „შავი ზღვის უსაფრთხოებისა და დამინაშრების რისკების კონსტრუქციული რეგულირების გამოყენებით“, პროექტი 2023-2025 წლებში



ღვარცოფსაგებობის ინოვაციური ბარაჟი

განსორციელდება. პროექტს დაამუშავებს საერთაშორისო სამეცნიერო კონსორციუმი, რომლის შემადგენლობაში შედის მსოფლიოს ეიპიო ქვანა - საქართველო, აშშ, უკრაინა, რუმინეთი, გულაგნეთი, თურქეთი. ინსტიტუტის კოლექტივის საცდელ-ეკოლოგიური კონსტრუქცია, პირველად საქართველოში, ნატოს სტანდარტების გათვალისწინებით შავი ზღვის ოგანდატორია (NPBC) დაუშინდება.

ეს არის საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის მცირე ჩამონათვალი, რომელშიც ავტორიტეტული სიტყვა თქვა ჩვენმა ინსტიტუტმა.

აქტიურად ვთანამშრომლობთ კულტურული ძეგლების დაცვის კუთხითაც. გასულ წელს დაგეგმვავეთ პროექტი ნიკო დადიანის მუზეუმის უსაფრთხოებაზე, სადრენაჟო სისტემების მიმართულებით, ამჯერად ვმუშაობთ პროექტზე ივ. ჯავახიშვილის სახელობის მუზეუმის ნაგებობის უსაფრთხოების მიმართულებით. ვაკეთებთ გვაქვს პროექტი ალავერდის უსაფრთხოებაზე, შიომღვიმის მონასტრის დაცვის, მლეთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის, ყინწყისის ტაძრის დაცვის, წაღვერის დედათა მონასტრის უსაფრთხოების კუთხით, ამ უკანასკნელმა საერთაშორისო პროგრამებს შორის ევროპის პრიზი დაიმსახურა.

გამოვევთ სამეცნიერო ნაშრომებსა და შრომურებს. წლეულს ბატონ ედუარდ უხალაშვილთან და ქალბატონებთან ინგა ირემიშვილთან და შორენა კუპრეიშვილთან ერთად გამოვეცით სახელმძღვანელო ნაშრომი: „ინოვაციური ღვარცოფსა-რეგულირება და ელასტიკური ნაგებობების დაპროექტებისათვის ჰიდრაულიკური გაანგარიშება“. ჩიგნი მსოფლიოს მ ენაზე ითარგმნა. ძალიან საჭირო და აქტუალურია დღეს ეს საკითხი“.

ჩვენი მეცნიერული მოღვაწეობის პერიოდში, სტუდენტობის წლებიდან დაწყებული, აქტიურად ვთანამშრომლობდით მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან, რომელსაც სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ აკადემიკოსები ვეგენი ხარაძე, ალექსანდრე თავხელიძე, თამაზ გამყრელიძე, გიორგი კვეციანიძე, ამჟამადაც აკადემიის ახლადარჩეულ პრეზიდენტთან, აკადემიკოს როინ მეტრეველთან ვთანამშრომლობთ.

დღეს უფრო მეტი პასუხისმგებლობით ვატარებთ ძალიან მნიშვნელოვან კონფერენციას ღვარცოფების რეგულირების პრობლემებზე.

კერ კიდევ 2018 წელს ჩავატარეთ მსოფლიო ღვარცოფების კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობდა 26 ქვეყნის 250 პროფესორი. კონფერენცია ჩატარდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში. გამოვეცით შრომათა კრებული ინგლისურ ენაზე.

გამოწვევები გრძელდება. ყოველხნის ვხდებით, ნაიზი ავსაყრთ დროს.

მსაშობა ირანდა კალანდაძე



წლეულს პესტიციდებისა და აბრეჟიმიკატების სარეალიზაციო 600-მდე რეგისტრირება შეიქმნა

სუსნათის ეროვნული სააგენტო, მაზარზე უხარისხო მცენარეთა დაცვის საშუალებების განთავსების ადგილის მიზნით, სპეციალიზებულ სარეალიზაციო ობიექტებს ამოწმებს, - ამის შესახებ სააგენტოს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია აღნიშნული.

„სახელმწიფო კონტროლი უკვე განხორციელდა 300-მდე ობიექტში, საიდანაც 29 შემთხვევაში გამოვლინდა ეტიკეტირების წესის, შენახვისა და რეალიზაციის პირობების დარღვევა, რეგისტრაციის განმე შექმნიანობის ფაქტები. გამოვლინდა დარღვევებზე სააგენტოს უფლებამოსილმა პირებმა კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები გაატარეს. დღესათვის რეგისტრირებისა და აგრეჟიმიკატების სარეალიზაციო 600-მდე ობიექტია რეგისტრირებული. მიმდინარე წელს სახელმწიფო პროგრამით დაგეგმილია ყველა სარეალიზაციო ობიექტის შემოწმება, ასევე აღებული და გამოკვლეული იქნება პრეპარატების 500-მდე ნიმუში. შემოწმებისას ყურადღება ექცევა სასოფლო-სამეურნეო პრეპარატების წარმოების, დაფასოების, მარკირების, შეფუთვის, შენახვისა და რეალიზაციის პირობებს“, - აღნიშნულია სააგენტოს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

რამდენი ლარით გაიზარდა პენსია?

საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა 31 ივლისს იანვარში ეროვნული ზრდის, გზობი 30 ივლისში ინფლაციის დონის შესახებ გამოაქვეყნა მონაცემები.

სახელმწიფო პენსიის შესახებ კანონის თანახმად, 70 წლამდე ასაკის პენსიონერებისთვის პენსიის ზრდა (ინდექსაცია) ხდება ზოლო 12 თვის ინფლაციის საშუალო მაჩვენებლის შესაბამისად, მაგრამ არანაკლებ 20 ლარის ოდენობით, ხოლო 70 წლის და მეტი ასაკის პენსიონერებისთვის კი ზოლო 12 თვის ინფლაციის საშუალო მაჩვენებლისა და ზოლო 6 კვარტალი მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდის მაჩვენებლების საშუალო არითმეტიკული 80 პროცენტის ჯამით, მაგრამ არანაკლებ 25 ლარის ოდენობით.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ ინფლაციის და მშპ-ს მაჩვენებლების შესახებ გამოქვეყნებული მონაცემებიდან და არსებული ტენდენციიდან გამომდინარე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იანვარსთან სამინისტროს მიერ პარლამენტისთვის მიუტყვის პროექტის წარდგენის მომენტისთვის 12 თვის (ოქტომბერი 2022 წელი - სექტემბერი 2023 წელი) საშუალო ინფლაცია იქნება 4,6%, ხოლო ზოლო ექვსი კვარტალი (2022 წლის 4 კვარტალი და 2023 წლის 2 კვარტალი) მშპ-ს რეალური ზრდის მაჩვენებლების საშუალოს 80% კი 7,6%. შესაბამისად, პენსიის მოცულობის მოსალოდნელი ზრდა 70 წლამდე ასაკის პენსიონერებისთვის არის 20 ლარი (კანონით გათვალისწინებული ზრდის მინიმალური ოდენობა), 70 წელს ზემოთ ასაკის პენსიონერებისთვის კი 45 ლარი (365*12,2%=45).

ცხადია, მთავრობას, სხვადასხვა ვარაუდებიდან გამომდინარე, შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება პენსიის ოდენობის უფრო მეტად ზრდის შესახებ, თუმცა ამანვე ვარაუდების გამოთქმისთვის მეტ-ნაკლებად მყარი საფუძველი, ჩვენი აზრით, ამ მომენტისთვის არ არსებობს.





ქალაქი, როგორც პერ სუნთქავს!

წლამანდელი აგვისტოს დამდეგს რაჭაში მომხდარმა სტიქიურმა უბედურებამ, რომელსაც 33 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა და რომელმაც კიდევ ერთხელ დაგვანახა, თუ რამდენად სუსტია ადამიანი ბუნების მრისხანების წინაშე და რაოდენ დიდი წინდახედულება საჭიროა, რათა მომავალში თავიდან ავიცილოთ არათუ მსგავსი უბედურებები, არამედ მინიმუმამდე დავიყვანოთ მათი წარმოშობის საფრთხეც კი.

ერთი წუთით თვითონვე აღმოჩნდა რომ დავუშვავთ რომ დღეს ამას იქით ვაცოვრობთა მყისიერად შეწყვეტს გარემოზე ძალადობას, მის უმორჩალოდ განადგურებას, დედა-ბუნებაში მაინც არსებობს უამრავი ძალა, რომელზე თუნდაც მცირედი ზეგავლენის მოხდენა – დადებითი თუ უარყოფითი – ადამიანის შესაძლებლობებს აღემატება. ასეთებია, ვთქვათ, მიწისძვრები, დედამიწის მაგნიტური პოლუსების ადგილების ცვლა, დიდი თუ მცირე გამყინვარებები, დამანგრეველი ქარიშხლები, წყალდიდობები, ვულკანური აქტივობები, კალიბის შემოსევები თუ ფურცლების პოპულაციის კატასტროფული შემცირება, რაც ვაცოვრობას შიშობილი სიკვდილის უქადის და მრავალი სხვა.

ზოგიერთი პლანეტარული მასშტაბის მოვლენის თაობაზე მეცნიერებს მკაფიოდ გამოსახული ერთიანი პოზიცია ჯერაც არა აქვთ, რომელთა შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია დედამიწაზე კლიმატის საყოველთაო ცვლილება, ანუ გლობალური დათბობა, როგორც მას ხშირად უწოდებენ. საესტეშიტ გასაგები მიზეზით, ეს პრობლემა უამრავი დარგის მკვლავებს – პლანეტოლოგებს, გეოლოგებს, მეტეოროლოგებს, გლაციოლოგებს, ჰიდროლოგებს, სოფლის მეურნეობის ყველა დარგის სპეციალისტებს, ასევე პოლიტიკოსებსა და სახელმწიფო მოხელეებს – ერთიანად აწუხებთ. ამასთან, საესტეშიტ ცხადია ისიც, რომ კლიმატური ცვლილებების, გლობალური დათბობის ერთი უზარმაზარი პრობლემა, რომელიც თავის მხრივ კიდევ შედარებით მცირე მასშტაბის სასწრაფოდ გადასაჭრელი საკითხებისგან შედგება, წლიდან წლამდე სულ უფრო მეტ სიმძაფრეს იძენს – ამის ყველაზე თვალ-

ნათელი მაგალითია ამჟამინდელი პაპანაქება, რომელსაც ჯერჯერობით ასე თუ ისე ვუმკლავდებით. მაგრამ დღითიდღე სულ უფრო მეტად საგანგაშო ამბები მოდის ქვეყნის საზღვრებს გარეთიდან, კერძოდ ევროპიდან, რომლის ზოგიერთ ქვეყანაში თერმომეტრის სინდიო ცელსიუს 40-45 გრადუსის ნიშნულს კვირეების განმავლობაში არ სცილდება, რასაც ათეულობით ადამიანის სიცოცხლე უკვე შეეწირა.

ამ მხრივ ჩვენში დღესდღეობით არსე-

ლება დედამიწის მოსახლეობის სასმელ წყალზე ხელმისაწვდომობა – გავროს მონაცემებით, ყოველწლიურად მის უმწვავეს დეფიციტს მსოფლიოში მილიონობით ადამიანი განიცდის. ამის პარალელურად, მნიშვნელოვნად კლებულობს დედამიწის ზედაპირზე ხმელეთის წყლების (მდინარეების, ტბების, წყაროების) ოდენობაც.

გეოგრაფიული ადგილმდებარეობით, გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური, ზოგადად, გარემო პირობების გათვალისწინებით, საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილში არსებობს სერიოზული როგორც ბუნებრივი, ისე ანთროპოგენური სახეობის საფრთხეები, მათ შორის, მიწისძვრების, მეწყრების, ღვარცხოვების, ზეგების, გვალვების, წყალდიდობების, აგრეთვე საწარმოო და სატრანსპორტო ავარიების საშიშროება. ასევე აუცილებლად გასათვალისწინებელია გარემოზე, მათ შორის ბუნებრივ რესურსებზე (კერძოდ ტყეებზე, ინერტული და საშენი მასალების საბადოებზე და სხვა) სამეურნეო-მომპოვებითი ზეწოლა, რაც ხელსაყრელ პირობებს ქმნის ბუნებრივი კატასტროფების პროვოცირებისთვის.

მოვლენათა განვითარება ცხადად მოწ-

მა საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიაზე ერთიანად შემარჯულებელია, განსაკუთრებით ძნელი ასატანია ის დიდ ქალაქებში, განსაკუთრებით თბილისში, სადაც გავრავლებული ასფალტისა და სახლების სახურავების ბუღს ძნელად ეწევა თანამედროვე გამწვანება. ამას დავუმატოთ კიდევ ის გარემოებაც, რომ ათეულობით წლების განმავლობაში დედაქალაქში სამოქალაქო მშენებლობა ურბანული მოთხოვნების თითქმის ყველა მოთხოვნის უკუღმეღმყოფით მიმდინარეობდა, რამაც ქალაქი თითქმის ერთიანად „დაახრჩო“, სუნთქვა შეუკრა.

ამ შემთხვევაში, პირველ ყოვლისა, მხედველობაში გვაქვს თბილისის ცენტრალური ნაწილის ბუნებრივი ვენტილაციის თითქმის სრული მოშლა, რის წყალობით, შუაგულ ქალაქში დღისით სუნთქვის პრობლემები არა მხოლოდ სწეულ და ასაკუვან ადამიანებს, არამედ სრულიად ჯანმრთელ ახალგაზრდებსაც აქვთ!

მასობრივად, რამდენიმე წლის წინათ, ჩვენმა სახელოვნამო არქიტექტორმა გიგა მათიამილიძემ საგანგებოდ წამოიყვანა ვაკის უბანში, სადაც პარკის მიმდებარედ აშენებულ მრავალსართულიან კორპუსებს კიდევ ერთხელ შემახედო და გულისტვივლით აღნიშნა, რომ წმინდა წყლის საყოფაცხოვრებო და საკომუნიკაციო, აგრეთვე საპარკინგე პრობლემების გარდა, ამ „ეკოურჩხულემა“ ბავებმა – წყნეთის მხრიდან ქალაქის ცენტრალურ ნაწილს „ფილტვების განიავების“ საუკუნეების განმავლობაში არსებული ბუნებრივი გზა გადაუკეტეს, რაც, ადრე თუ გვიან, მის ცენტრს გაუგდებოდა ემუქრება. ამის თაობაზე ჩვენს გაზეთში არაერთხელ დაიწერა და დიდი გულისტვივლით აღინიშნა, რომ ასეთი ვითარება შექმნილია არა მარტო ვაკეში, არამედ საბურთალოს (ავილოთ, თუნდაც ძველი სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორია), ახლა იგეგმება ქალაქის ცენტრიდან რუბინების ხაზის მოშორების შემდეგ გამოთავისუფლებული ტერიტორიის მჭიდროდ დასახლებით განაშენიანება, დიდი ხნის „გადაკეტილია“ დედაქალაქში სუფთა ჰაერის მასების შემოდინება დასავლეთიდან, დიდი დიდების დასახლების მხრიდან.

ყოველივე ამის შედეგად, თბილისის ცენტრში თავისუფლად სუნთქვა არათუ ზაფხულის ხვატში, არამედ გაცილებით გრილ სეზონებშიც საკმაოდ ჭირს. ამდენად, საფრთხე, რომ რაღაც მომენტში დედაქალაქში დაიწყოს ხალხის ჰაერით მოწამვლა, საესტეშიტ რეალურია. ხოლო თუ ამას ვინმეს ეჭვი ეპარება, მტკვრის გენბავთ მარჯვენა, გენბავთ მარჯვენა სანაპიროზე რომ ჩაივლით, დააკვირდით, როგორი ჰაერი შემოგვგებებთ, თანაც არა მხოლოდ ზაფხულის პაპანაქებაში, არამედ გრილ შემოდგომებზეც კი...

ოთარ ტურაბალიძე

თბილისის ცენტრში თავისუფლად სუნთქვა არათუ ზაფხულის ხვატში, არამედ გაცილებით გრილ სეზონებშიც საკმაოდ ჭირს. ამდენად, საფრთხე, რომ რაღაც მომენტში დედაქალაქში დაიწყოს ხალხის ჰაერით მოწამვლა, საესტეშიტ რეალურია.

ბული ვითარება თითქოს ოდნავ უკეთესია, თუმცა კი სამომავლო პროგნოზი მაინცდამაინც დიდი ოპტიმიზმის იმედს არ იძლევა. უფრო კონკრეტულად კი, უნდა ითქვას, რომ **საქართველოს გარემოსა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაკვეთით ცომა ხნის წინათ მოგზაურობის დასკვნით, რომელიც პატარა მონიტორინგის რისკების შემცირების საკითხებს ეხებოდა, უახლოეს 20-25 წელიწადში ქვეყნის ტერიტორიაზე ჰაერის საშუალო ტემპერატურა ცელსიუს 1,0-2,0 გრადუსით მოიმატებს, ხოლო საშუალო მონიტორინგის ტემპერატურა 4,1-5,0 გრადუსამდე გაიზარდება!**

მკვლევართა დასკვნით, გლობალური დათბობის შედეგად, დედამიწის სხვადასხვა მხარეში (არქტიკაში, ანტარქტიკაში, მათა სისტემების მყინვარებში) არსებული ყინული, პლანეტაზე სასმელი წყლის მარაგის დაახლოებით 70 პროცენტს რომ შეიცავს, საყოველთაო სითბური პროცესების შედეგად, მისი ეს მასები უპრეცედენტოდ სწრაფად დნება, რის შედეგად მკვეთრად მცირ-

ებოდა, რომ კლიმატური ცვლილებები ბოლო წლებში სულ უფრო მეტად იჩენს თავს არა მარტო საქართველოში, არამედ ერთიანად სამხრეთ ვაკეშია, რაც კიდევ ერთი არგუმენტი მათთან სამრძოლველად რეგიონის სამივე სახელმწიფოს ძალისხმევას გასაერთიანებლად. ამასთან, სპეციალისტები დიდი ალბათობით **პარაუტროფის ახლო მომავალში სითბური ტალღების სისხშირისა და ოდენობის ზრდას, სეზონური ნალექების რაოდენობის შემცირების საგრძობ ვალს, მისი რესურსების დარღვევას (პარკოდ, გაუდაზროვება), ზღვის დონის აწევას შტორმული მოდინების სისხშირისა და სიმძლავრის გაზრდას, და, შესაბამისად, სანაპირო გოლის თანდათანობით დაპარებას, კიდევ სხვა შესაძლებელი მოვლენების განხილვას, რაც კლიმატის ცვლილებისადმი შესაგუგულად სასწრაფოდ განსტარებელი გენერალური გეგმის შემუშავების აუცილებლობის წინაშე გვაყენებს.**

მიუხედავად იმისა, რომ ივლისის მიწურულიდან დაწყებული აგვისტოს პაპანაქე-

ტყის ხანძრების გამო დარღვევის სრულად ჩაქრება

თურქეთის ჩრდილო-დასავლეთით ტყის ხანძრების გამო, დარღვევის სრულად დროებით ჩაქრება. სახიფათო ზონიდან მოქალაქეების ევაკუაცია განხორციელდა.



თურქეთის ჯანდაცვის მინისტრის ცნობით, ხანძრების შედეგად 83 ადამიანი დაშავდა, მათი ნაწილი ჰოსპიტალიზებულია. როგორც თურქეთის სოფლის მეურნეობის მინისტრმა განაცხადა, ხანძრების გამო საკუთარი სახლებიდან ცხრა სოფლის მოსახლეობა გაიყვანეს, ჯამში – 1 251 ადამიანი, ასევე ევაკუირებული იყო ჩანაქვალეს სამხედრო საჰაერო ძალების სამეთაურო პუნქტი და ადგილობრივი უნივერსიტეტის კამპუსიც. ხანძრის გამო, დროებით დაკეტილია რამდენიმე ავტომაგისტრალი. ხანძრის ჩაქრობაში რვა თვითმფრინავი, 26 ვერტმფრენი და 1 100 მეხანძრეა ჩართული.

წყალდიდობა ჩილუში

ჩილუს ცენტრალურ-სამხრეთ რეგიონში უამინდობის გამო ორი ადამიანი დაიღუპა, ათობით ათასი ადამიანი კი უსახლკაროდ დარჩა. კოკისპირული წვიმებმა მასიური წყალდიდობა გამოიწვია. სინოპტიკოსები მთიან რაიონებში მეტ წვიმას ვარაუდობენ, რაც წყალდიდობისა და მეწყრული პროცესების რისკს ზრდის. ჩილეს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენ-



ტის ცნობით, ევაკუირებულია თითქმის 34 000 ადამიანი, ხოლო დაახლოებით 38 000 ადამიანი ელექტროენერჯის გარეშეა დარღვენილი. ჩილეს პრეზიდენტმა გამრიეღ ბორინმა ჩილეს მოსახლეობას მოუწოდა დაემორჩილონ ევაკუაციის მრძანებებში. „როდესაც თქვენ იღებთ მსგავს შეტყობინებებს, ეს არ არის ხუმრობა, სასწრაფოდ უნდა მოახდინოთ ევაკუაცია“, – განაცხადა პრეზიდენტმა.




ქახეთის სამ მუნიციპალიტეტში ქარბი სიხსლავია...

ქახეთის სამ მუნიციპალიტეტში მასშტაბური სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს. ლაგოდეხში ოთხ შექტარზე დასასვენებელი პარკი ეწყობა. შეიქმნა სპორტული ინფრასტრუქტურა, დამონტაჟდება გარე განათება და მოხდება ტერიტორიის გამწვანება. ახალი სამუშაოები მიმდინარეობს დედოფლისწყაროშიც. ყვარლის ცენტრალურ ქუჩაზე კი 20-ზე მეტი კორპუსი განახლდება.

ველისციხის ახალი სივრცისთვის 30 მილიონ ლარზე ლარზე მეტი დაინახება

ველისციხის ახალი სივრცე - ასე უწოდებენ ადგილობრივები პროექტს, რომლითაც სოფელმა ძველი იერსახე უნდა აღიდგინოს. სარეაბილიტაციო სამუშაოები სოფლის ცენტრალურ ნაწილში აქტიურად მიმდინარეობს. 30 მილიონ ლარზე მეტი ათობით საცხოვრებელი სახლის, ისტორიული სახალხო თეატრისა და გზების კეთილმოწყობაზე დაიხარჯება.



ოლიმპიური აუზი ქუთაისში დიდი მოსახლეობის სარგებლობს

ქუთაისის ახალი ოლიმპიური აუზი აქვს. გახსნიდან თითქმის ორი თვის შემდეგ, სპორტულ კომპლექსზე დიდი მოთხოვნაა. აუზზე 15-წლამდე მოზარდებისთვის ცალკე სავარჯიშო სივრცეა მოწყობილი. ასევე მოქმედებს სხვადასხვა სექცია. უახლოეს მომავალში, გოგონათა წყალბურთელთა გუნდის შექმნაც იგეგმება. ქუთაისის ოლიმპიური აუზი მუნიციპალური განვითარების ფონდმა, აზიის განვითარების ბანკის ფინანსური მხარდაჭერით ააშენა. პროექტის ღირებულება 13.6 მილიონ ლარია.

მარტვილის სოფელ ბაღდაში მდებარე კანიონის რეაბილიტაცია დაიწყო



მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაღდაში მდებარე კანიონზე, მომდევნო სამი წლის განმავლობაში ეკოტური-ისტორიული ინფრასტრუქტურა მოეწყობა. ელექტრონული აუქციონის შედეგად, დაცული ტერიტორიების სააგენტოსა და კომპანია „კანიონ 350“-ს შორის 20 წლამდე ვადით ხელშეკრულება გაფორმდა, თუმცა გადაწყვეტილებას ადგილობრივი ახალგაზრდების ნაწილი ეწინააღმდეგება. „ძალიან არ მოგვწონს, როდესაც ავთენტურობას უკარგავენ ბუნებას და ამდენი რკინა-ბეტონით ვრევინ. დავსხდეთ და ვიმსჯელოთ, როგორ უნდა გაკეთდეს ეს ყველაფერი ისე, რომ არც ბუნება დაზარალდეს და არც სოფლის მოსახლეობა“, - განაცხადა ერთ-ერთმა ადგილობრივმა. ბრალდებების საპასუხოდ ინვესტორი კომპანია ამტკიცებს, რომ კანიონზე ავთენტური ბუნების შენარჩუნების მიზნით ინფრასტრუქტურული სამუშაოები მინიმალურად განხორციელდება და პროექტები ევროსტანდარტების შესაბამისი იქნება. მათივე თქმით, გარემოზე მავნე ზეგავლენის თავიდან აცილების მიზნით ბაღდაის კანიონის შექმნამდე გეოლოგიური და ჰიდროლოგიური კვლევები ჩატარდა.



ახალი სკვერი გორში

გორში, სამეგრისა და პეტრიაშვილის ქუჩების მიმდებარე სკვერის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს. პროექტის მიხედვით მოეწყობა: დეკორატიული განათება, გარეგანათება, კალათბურთის ფარი, სუამები, ნაგვის ურნები, ბილიკები დეკორატიული ფილებით, ღობე. სამუშაოების ღირებულება 90 000 ლარია. პროექტი „სამოქალაქო ბიუჯეტი 2023“-ის ფარგლებში ხორციელდება. ის ადგილობრივმა მოსახლეობის ინიციატივით ხორციელდება.

დავნილთა დასახლებაში მოედნის მოწყობა დაიწყო

პარალელური დავნილთა დასახლების მიმდებარე სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოები მალე დასრულდება. ამ ეტაპზე მონტაჟდება გარეგანათების სისტემა. ინფორმაციას გორის მერია ავრცელებს. „პროექტი ითვალისწინებს მოედნის შემოღობვას საფეხბურთო კარების, ხელოვნური საფარისა და გარეგანათების მოწყობას. სამუშაოების ღირებულება 142 685 ლარია. პროექტის განსახორციელებლად თანხა ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოიყო“, - აღნიშნულია ინფორმაციაში.

გლდანის რაიონი დასუფთავდა

დასუფთავების მორიგი აქცია გლდანის რაიონში ჩატარდა. შპს „თბილისერვის ჯგუფის“ თანამშრომლებმა, სპეცტექნიკის საშუალებით, უკანონოდ განთავსებული სამშენებლო ნარჩენები მუხიანში - ნობაძის ქუჩიდან, გლდანის I მიკრორაიონის №8 კორპუსის მიმდებარე ტერიტორიიდან და ზაპსში - შოთაძის ქუჩიდან გაიტანეს. ნობაძის ქუჩაზე ნარჩენების შემკრები ექვსი ახალი კონტეინერი განთავსდა და მონიტორინგის მიზნით დამონტაჟდა ფოტოხაფანგი. დასუფთავების შემდეგ, სამივე ტერიტორია მოიწესივნა. საყოფაცხოვრებო ნარჩენისთვის განკუთვნილ კონტეინერებში ან მიმდებარე სამშენებლო-მშენებლო ნარჩენების განთავსება დაუშვებელია. გლდანის რაიონში, თბილისის შემოვლითი გზის მე-15 კილომეტრის მიმდებარე ფუნქციონირებს ინერტული ნარჩენების განთავსების ობიექტი, სადაც ნებისმიერ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს ხელმისაწვდომ ფასად შეუძლია ასეთი სახის ნარჩენის კანონიერად განთავსება.

სამსტატი: საქართველოში რკინიგზით უამრები ტვირთის მოტვირთვა მოცულობის 53.2% რუსეთიდან გააუმჯობესდა

(გეორგი გვარამია) 2023 წლის II კვარტალში ტრანზიტით გადატანილი ტვირთის მთლიანი მოცულობის 11.3 პროცენტისათვის დანიშნულების ქვეყანას თურქეთი წარმოადგენს, 7.7 პროცენტისათვის - ნიდერლანდები, 6.0 პროცენტისათვის - იტალია, 6.0 პროცენტისათვის - ჩინეთი. ამავე პერიოდში, ტრანზიტით გადატანილი ტვირთის 8.9 პროცენტისათვის გამოგზავნა ქვეყანას მზა-ბილია წარმოადგენს, 3.5 პროცენტისათვის - ჩინეთი, 2.1 პროცენტისათვის - თურქეთი, ხოლო 1.7 პროცენტისათვის - ამერიკის შეერთებული შტატები. საანგარიშო პერიოდში, რკინიგზით გადატანილი ტვირთის მთლიანი მოცულობის 29.6 პროცენტი მოდის ქვანახშირის, ნედლი ნავთობისა და ნავთობპროდუქტების და ბუნებრივი აირის სასაქონლო ჯგუფზე, 23.6 პროცენტი - ლითონის მადანსა და სამთომოპოვებითი მრეწველობის სხვა ნედლეულზე, ხოლო 14.1 პროცენტი - საკვები პროდუქტებზე, სასმელებსა და თამბაქოს ნაწარმზე. სასაქონლო ჯგუფების მიხედვით განსხვავებულია განაწილება ადგილობრივი გადაზიდვების შემთხვევაში, სადაც 57.2 პროცენტი ლითონის მადანსა და სამთომოპოვებითი მრეწველობის სხვა ნედლეულზე მოდის, 15.9 პროცენტი - სხვა არამეტალურ მინერალურ პროდუქტებზე, ხოლო 12.2 პროცენტი - ქვანახშირის, ნედლი

ნავთობისა და ნავთობპროდუქტების და ბუნებრივი აირის სასაქონლო ჯგუფზე. რაც შეეხება საერთაშორისო გადაზიდვებს, რკინიგზის საშუალებით ძირითადად შემოტანილია ქვანახშირი, ნედლი ნავთობი და ნავთობპროდუქტები და ბუნებრივი აირი (42.8 პროცენტი), სხვა არამეტალური მინერალური პროდუქტები (24.9 პროცენტი) და კოქსი და რაფინირებული ნავთობპროდუქტები (9.1 პროცენტი), ხოლო გატანილია ლითონის მადანი და სამთომოპოვებითი მრეწველობის სხვა ნედლეული (54.4 პროცენტი), საკვები პროდუქტები, სასმელები და თამბაქო (22.8 პროცენტი),

სხვადასხვა დასახელების ლითონის ნაწარმი (8.7 პროცენტი) და სოფლის მეურნეობის პროდუქტები (5.7 პროცენტი). 2023 წლის II კვარტალში ტრანზიტული ტვირთის მთლიანი მოცულობის 70.0 პროცენტი სამ სასაქონლო ჯგუფზე მოდის, კერძოდ, ქვანახშირი, ნედლი ნავთობი და ნავთობპროდუქტები და ბუნებრივი აირი (32.4 პროცენტი), ლითონის მადანი და სამთომოპოვებითი მრეწველობის სხვა ნედლეული (19.0 პროცენტი) და საკვები პროდუქტები, სასმელები და თამბაქო (18.6 პროცენტი).“ - აღნიშნულია გავრცელებულ ინფორმაციაში.



ნაპი პიქტორ რსხილადი, კვლავ ორი ნაშრომით...

გამოცა ვიქტორ რსხილადის ორი ნაშრომი: „ტიტანისი საქართველოს ისტორიაში“ (ფილოსოფიურ-თეოლოგიური შს) და „ავსტრალიის მოქალაქე სახალხოფორმა და რისი გაკეთება გვართავს ჩვენ“. პირველი ნაშრომი ეყრდნობა ალექსეი ლოსევის მსჯელობას შექსპირის გმირებზე, რომელიც ავტორს გადმოაქვს შექსპირისეული გენგებით დახუნძლულ საქართველოს ისტორიაში. დამოლოს, ავტორს მიაჩნია, ქართველი ხალხი ცხვრის ფარასავით რომ არ გაკყოლოდა 1989 წლის 9 აპრილის მიტინგის ორგანიზატორებს, იგი არ აღმოჩნდებოდა ისეთ სავალალო მდგომარეობაში, როგორც მიაჩნია იმყოფება. მეორე ნაშრომი განიხილავს ავგუსტინეს თხზულებას „ღვთის ქალაქზე“ (გერმანულენოვან გამოცემას, მიუნხენი 1991 წ.) და მისი დასკვნამდე, რომ საქართველოს გადაარჩენს მხოლოდ დიქტატურა. ოღონდ, თუ ვინ უნდა განახორციელოს ეს დიქტატურა, იგი ამაზე არაფერს გვეუბნება.



რადიო თავისუფლების მიხედვით, 2023 წლის 15 აპრილს „უსკოპის რადიოს ქალაქ ველიკიე-ლუკში, ქარხანა „მიკრონი“ ტერიტორიაზე, ცენტრალური შესასვლელის წინ, საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი ლიდერის იოსებ სტალინის რვაგზობიანი კეპლი დაიდგა.“ ეს სტალინის კეპლების რუსეთში დამონტაჟების პირველი შემთხვევა არ არის, თუმცა, რუსეთის ახლანდელ პრეზიდენტს არც სიტყვით გამოცხადების დროს დაუკლია ბენერალის იმუხისთვის სობაბა და განდიდება. საინტერესოა, თუ რა შედეგები იქონიებს ამის მიხედვით.

რატომ სტალინს

ვლადიმირ პუტინი იოსებ სტალინის რვაგზობიანობას?

რამდენიმე თვის წინ, უკრაინულ National Interest-ში, უკრაინელი მკვლევარების მიერ დაწერილი სტატია გამოქვეყნდა სათაურით, „დასავლეთი ვერ უგულვებლყოფს სტალინის რეაბილიტაციის მიმართულ პუტინის ძალისხმევას“. მიუხედავად ჩემი მხრიდან საკითხის დიდი ინტერესისა, აღნიშნულ სტატიას თავდაპირველად მხოლოდ მოკლედ შევახედე თვალს და ჩავთვალე, რომ იგი ამუშავებული ნაშრომისთვის არაა რეკომენდებული იყო. თუმცა, მას შემდეგ, რაც ბოლო თვეების განმავლობაში ქართული სოციალური მედიის პრო-რუსულ ნაწილში სტალინის განდიდებას თვალსაზრისით არაერთ ინფორმაციას წავაწყდი, ჩემთვის უკრაინელი ავტორების მოსაზრება, უფრო საინტერესო გახდა.

მათი აზრით, „საბჭოთა დიქტატორის რეაბილიტაცია მეგრად მეტია, ვიდრე თმის დროს პროპაგანდისტული ინსტრუმენტი: ის ემსახურება პუტინის რუსეთის სტრატეგიული კულტურის ლეგიტიმაციას. თუ სტალინის შემგვიძრავი მორალურად მისაღები და ლეგიტიმური გახდება, მაშინ პუტინის რევიზიონისტული საგარეო პოლიტიკის მიზნები – და მათი განხორციელების ყველა საშუალება – ანალოგიურად მისაღებად გარდაიქმნება. ამდენად, ევროპაში მდგრადი მშვიდობის მისაღწევად დასავლეთი ვალდებულია, გააცნობიეროს პუტინის ისტორიული რევიზიონიზმის თანამედროვე შედეგები.“


ვფიქრობ, მოყვანილ სტატიებში დასმული საკითხის აქტუალობის გასაზრებლად კარგი მაგალითია საქართველოც. როგორც უკვე აღვნიშნე, ქართულენოვანი სოციალური მედიის სივრცეში, მრავალი სხვადასხვა ავტორების მიერ დამონტაჟებული ვიდეო მასალა თუ წერილობითი ტექსტები, იოსებ სტალინის მოღვაწეობასთან დაკავშირებით, საკმაოდ პოპულარულია. უნდა ითქვას, რომ მათგან უმრავლესობა ერთგვარად მითითებული ხასიათს ატარებს, თუმცა ჩემი ყურადღება განსაკუთრებით მიიპყრო იოსებ სტალინის ფიგურის შედარებამ მის თანამოაზრეებსა და თანამებრძოლებთან, ვლადიმერ ლენინთან და ლეონ ტროცკისთან, რომელიც, მოგვიანებით სტალინის მოსისხლე მტრად იქცა.

ამ მტრობის მიზეზი, დიდწილად სწორედ ძალაუფლებისთვის ბრძოლა და პრაგმატული ინტერესები იყო და არა ის ღირებულებითი გამოვლინებები, რომლებზეც, ზემოთ ნახ-

სენები ვიდეო მასალა უსვამს ხოლმე ხაზს. სტალინის მხარდამცერი ამ არხების ძირითადი მიზანი კი არის წარმოაჩინოს, თუ როგორ ემბოდა ეს უკანასკნელი სხვადასხვა უმცირესობებს, მათ შორის ჰომოსექსუალებს, როდესაც ლეონ ტროცკის მიმდევრები მათი გულმხურვალე მომხრეები იყვნენ. პირადად ჩემთვის, ნამდვილად რთული სამტკიცებელია, იყო თუ არა ტროცკისთვის ჰომოსექსუალობა უფლებრივი მდგომარეობა ამოსავალი 1920-იანი წლების დასაწყისისთვის, თუმცა, რისი მტკიცებაც შემძლეა, არის ის, რომ დაპირისპირების ძირითადი მიზანი ძალაუფლების ბრძოლა იყო და არა რომელიმე ჯგუფის უფლებებზე ბრუნვა.

სწორედ ამ კონტექსტში შეიქმნა „სოციალიზმი ერთ სახელმწიფოში“ დოქტრინაც, რომელიც სტალინის მიმდევრების თავშესაფარი იყო და წინააღმდეგობაში მოდიოდა „მსოფლიო სოციალიზმის“ ტროცკისტულ იდეასთან.

ლეონ ტროცკი, 1918 წლიდან ომის სახალხო კომისარი იყო, მან რიგ წარმატებებთან ერთად საშინელი დამარცხებებიც იწვნია, მათ შორის მდინარე ვისლასთან ვარშავაში, რომლის მ-3-ე წლისთავა ახლახან ჩაიარა, უნგრეთში, გერმანიაში, რის გამოც, მას სოციალიზმის გავრცელების მიზნით ახალი ტერიტორიების დაპყრობა რაც შეიძლება დროზე სურდა. სამაგიეროდ, ამის აუცილებლობას საბჭოთა კავშირის ადრეულ წლებში ვერ ხედავდა იოსებ სტალინი, რადგან, მისთვის პრიორიტეტად იმპერიის შიგნით ძალაუფლების შენარჩუნება იქცა.



უნდა ითქვას, რომ სტალინის განცალკევება კომუნისტური პარტიის ნახსენები ფრთხილად პირველ რიგში მოხდა სწორედ ამ კონტექსტში. მანამდე, ისინი, რევოლუციის წინაშე პერიოდში, ლენინთან ერთად საკმაოდ ჰარმონიულად თანამშრომლობდნენ. შესაბამისად, რომელიმე ჯგუფის მიმართ მათი დამოკიდებულების არმოცილებლობა, გუმენტად მოხმობა, მხოლოდ მას შემდეგ გრძობებზე თავაშს და ცრუ პროპაგანდის გავრცელებას ემსახურება.

მეტეც, ის, რომ სტალინის იდეოლოგია მეტად იყო დაახლოებული ტროცკის ბოლშევიზმთან, დასტურდება იოსებ სტალინისვე გამოქვეყნებული ნაშრომებით და პოლიტიკური პა-ფულეტებით. 1913 წელს, ვენაში გამოქვეყნებულ ნაშრომში, „მარქსიზმი და ეროვნული საკითხი“, სტალინი მიუთითებს:

„სიონიზმის გავრცელება ებრაელებში, შოკინიზმის გაძლიერება პოლონეთში, პანისლავიზმი თათრებში, ნაციონალიზმის გავრცელება სომხებში, ქართველებსა და უკრაინელებში, ფილისტინელებსა ზოგადი გადახრა ანტისემიტობისკენ – ეს ყველაფერი, საყოველთაოდ ცნობილი ფაქტებია.“

ნაციონალიზმის ტალღა მზარდი ძალით მიიწვედა წინ და ემუქრებოდა მუშათა მასას. და რაც უფრო იკლებდა ემანსიპაციის მოძრაობა, მით უფრო მეტად ყვაოდა ნაციონალიზმი.

ამ რთულ დროს სოციალ-დემოკრატიას ჰქონდა უმაღლესი მისია – წინააღმდეგობა გაეჩინა ნაციონალიზმისთვის და მასევე დაეცვა ზოგადი „ემიდეშიზმის“ მხოლოდ სოციალ-დემოკრატიას და მხოლოდ სოციალ-დემოკრატიას შეეძლო ამის გაკეთება ნაცი-

ონალიზმის წინააღმდეგ ინტერნაციონალიზმის გამოცდილი იარაღით, კლასობრივი ბრძოლის ერთიანობითა და განუყოფლობით.“

იოსებ სტალინის ამ ნაშრომისგან, ლეონ ტროცკის რევოლუციის წინა და შემდგომი ტექსტები, მეგრით ნამდვილად არაფრით განსხვავდება. შესაბამისად, გამოდის, სტალინი ქართული ნაციონალიზმის, გამარტივებულად რომ ვთქვათ, ქართული ეროვნულობის პირდაპირი მტერი იყო, რისი გააზრებაც, ქართულ საზოგადოებას დღეს ჰაერივით სჭირდება.

პროპაგანდისტული ტყუილებით, რომელიც პუტინის რუსეთისგან, იოსებ სტალინის შესახებ ჩვენს გარშემო ვრცელდება, უგულვებლყოფილია რეალური ისტორია და შექმნილია მითები, რათა მისი რეაბილიტაცია მოხდეს. ხოლო, მისი ფიგურის რეაბილიტაციის გაძლიერებული მცდელობა, თუკი დასაწყისში მოხმობილ უნგრელ ავტორებს დავესხსებით, ემსახურება „მხოლოდ ვლადიმერ პუტინის ავტორიტარული რეჟიმის ლეგიტიმაციას და მისი რევიზიონისტული საგარეო პოლიტიკური მისწრაფებების თანამედროვეობაში მხარდაჭერას.“

როდესაც აშშ-ს პრეზიდენტი ფრანკლინ რუზველტი, მრინტანეთის პრემიერ მინისტრი უინსტონ ჩერჩილი და იოსებ სტალინი შეხვდნენ იალტაში 1945 წლის თებერვალში, რათა გადაეწყვიტათ ევროპაში ომის შემდგომი წესრიგი, სტალინმა გასცა დაპირება თავისუფალი არჩევნების ჩატარებაზე პოლონეთში. მან იცნო, იალტას ხელი არ შეუშლია სტალინისთვის აღმოსავლეთ ევროპაში თავისი იმპერიული მიზნების განხორციელებაში. ამავე თვალსაზრისით, 1993 წლის მუდარეის შეთანხმებაში იოსებ სტალინის ხელს პუტინს უკრაინაში შეჭრასა და ომის წამოწყებაში. შესაბამისად, მიმდინარე საინფორმაციო ომში, როგორც დასავლურ სახელმწიფოებს, ასევე ჩვენ არ გვაქვს მოღუწების შესაძლებლობა.

გიორგი ლაბაძე, ამერიკის მსოფლიო ურთიერთობების დეპარტამენტი, თსუ

ამერიკა კურილუბიდან იმუქრება

პირველად იაპონიის საზღვაო ძალები, აშშ-ისა და კანადის საზღვაო ფლოტებთან ერთად, კურილის კუნძულების სანაპიროებთან წვრთნებს ატარებს. წვრთნების მიზანია, წარმოაჩინოს იაპონიის ერთიანობა მოკავშირეებთან პოტენციური რუსული საფრთხის ფონზე. წვრთნები, რომელიც კურილის კუნძულების აღმოსავლეთ სანაპიროდან პონტუს კუნძულის სამხრეთ ნაწილამდე ტარდება, 21 აგვისტოს დაიწყო და 28 აგვისტომდე გაგრძელდება. მოკავშირეები ყურადღებას ამა-



ახელივინ საწვრთნელ ამოცანებზე, როგორც იაპონიის საზღვაო ძალების ძეგნა და განადგურება, ვერტმფრენების ერთმანეთის გემებზე დაშვება. იაპონიის საზღვაო ძალების პრესრელიზში ნათქვამია, რომ იაპონიას, კანადასა და შეერთებულ შტატებს შორის თანამშრომლობის გაძლიერება მნიშვნელოვანი პირობა თავისუფალი და ღია წყნარი ოკეანის რეგიონისთვის.

უკრაინა კონტრშტაბს პირ ახერხებს!!!

უკრაინის შეიარაღებულ ძალებს უჭირს რუსული არმიის თავდაცვის გარღვევა დიდწილად იმის გამო, რომ უკრაინული არმიის საუკეთესო შენაერთები არასწორად იყენებენ არმიის განლაგებულებას. ამის შესახებ აშშ-ის ოფიციალურ პირებზე დაყრდნობით The New York Times-ი წერს. მათი განცხადებით, უკრაინული არმიის მეთაურობამ ორ თანამარ ნაწილად გაყო თავისი ჯარები სამხრეთისა და აღმოსავლეთის ფრონტებზე, ნაცვლად იმისა, რომ მთელი საცეხლე ძალის კონცენტრირება ყინობისა და რუ-

სეთს შორის კავშირის გარღვევაზე მოეხდინა, რაც კონტრინფორმის მთავარ ამოცანად სახელდება.

როგორც NYT-ის სტატიაში აღნიშნული, ამერიკელმა ოფიციალურმა პირებმა უკრაინის ურჩივს, შეეცალა თავისი ტაქტიკა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი თქმით, კონტრინფორმის ტემპი არ შეიცვლება.

არსებული ინფორმაციით, მიმდინარე თვეში ვიდუ-ოკონფერენციის დროს დასავლელი ქვეყნების მაღალჩინოსანმა სამხედროებმა ურჩივს უკრაინის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალს, ვალერი ზალუჟნის, ერთ ფრონტზე მოახდინოს კონცენტრირება და მან ეს რჩევა მიიღო. ამერიკელი ოფიციალური პირების თქმით, უკრაინას აქვს 4-6 კვირა იქამდე, ვიდრე წვიმები კვივს კონტრინფორმის შეჩერებას აიძულებს.





რანი პარტი რვენი?..

ოცდამეერთი საუკუნის ოციან წლებში ბუნებამ სულსმეძვრელი საშინელებათა ფილმების სერიები დადგა პლაანეტის სხვადასხვა კონტინენტზე. სხვადასხვა სახელმწიფოებში. აღსანიშნავია, რომ ამ უსასტიკესი სერიების გადაღების დროს ოპერატორიც თავად იყო, რეჟისორიც და სცენარის ავტორიც. ადამიანის ნიჭისა და შესაძლებლობების ჩაურევლად, ამ ორიგინალურ სერიებში, მან შეუმრავლდა, დაუნაწილა და დაუკითხავად, ათასობით ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. სიკვდილი ხომ, თავისთავად საშინელებაა, მაგრამ რა ყოფილა ეს ბუნება! მას უსასტიკესი ფორმით, ჯალათობაც შესძლებია!

საქართველოში, ამა წლის აგვისტოს სამში, უცაბედად მოვარდნილი სტიქიის სახით დატრიალებულმა ტრაგედიაში, დედამიწაზე მომხდარ ყველაზე საშინელ ტრაგედიაში შორის დაიმკვიდრა ადგილი. შოვის ტრაგედიაში თავბარი დაგვცა ყველას. ჩვენი საყვარელი კურორტი შოვი მეწყერმა დაფარა. თვალის და გულის გასახარებლად იქ ჩასული ადამიანებისთვის, მოულოდნელად, სულ ერთ წამში, იგი ჯოჯოხეთად იქცა. იქ მყოფნი ვერც მიხვდნენ ალბათ, რა მოხდა! ოთხ მეტრზე მეტი სიმაღლის სქელმა ტალახმა გადაუარა შოვის და გააქრო იგი მიწისაგან პირისა, ოცდაათზე მეტ ადამიანთან და სხვა ცოცხალ არსებებთან ერთად! ღმერთო, რას ვამბობ, მაგრამ, საუბედუროდ, ეს ყველაფერი, სიმართლეა. ახლა მინდა მოგიხსნათ, ამ სასტიკი სასწაულის შემდეგ, ჩვენი, ადამიანების განცდებზე. პირადად მე, იმ უბედურმა დღემ დამავიწყა ჩემი ტკივილი, ცრემლი გამიშრა, გამიჭირდა მომხდარის დაჯერება, არ ვიცოდი რა მექნა...

ამ საშინელ, საკვირველ, დაუვიწყარ ტრაგედიაზე საუბრობ, მინდა მეორე საკვირველებზე საუბარი გავაგრძელო, არ შემძლია სხვაგვარად.

სხვა დანაშაული, რომ არ შეიძლება ოპოზიციის იმ წარმომადგენლებს, რომლებიც ყველაგან, ყველაფერში ხედავენ მთავრობის მრალეულობას, აქამდე თოვლივით სპეტაკნივ რომ ყოფილიყვნენ საზოგადოების წინაშე, დღევანდელი მათი საქციელი და სურვილი, რომ როგორმე ხალხი დააჯერონ შოვის უბედურებაში მთავრობის როლსა და დანაშაულში... საკმარისია იმისთვის, რომ გავიო ვისთან

გვაქვს საქმე! ეს ხომ ყველაფერი ამაზრუნია. ცუდლუტ ბავშვსაც არ მოუვა თავში ასეთი გულისამრევი ზღაპრები: ვითომ სტიქია არ აიძლეოდა, არ დაგვასკდოდა თავზე, მთავრობას რომ მიეღო საჭირო ღონისძიებები, რომ, იმ სამ აგვისტოს, დამითვე ვერტმფრენით მუშაობის გაგრძელება რამდენიმე დღეულის სიცოცხლეს მაინც გადაარჩინდა, რომ მთავრობის წარმომადგენელმა წინასწარ იცოდა სტიქიის შესახებ... ანა, სრულად ვერ შევძლებ იმ უსამართლო მრალეებზე საუბარს, თქვენს გულამდე ვერ მოვიტან, მკითხველო, იმ დამთრგუნველ და შეურაცხყოფელ განცდას, რომელიც მათ გაუზრუნველ საუბრებს მოაქვს საზოგადოების დიდი ნაწილისთვის. საკმარისია მოუსმინო საინფორმაციო საშუალებებს, ღმერთო ჩვენი! რას არ მოისმენო რატომ? ნუთუ ამ დიდმა ტრაგედიაზე ვერ შესძლო და ვერ გამოიწვია მათში ადამიანური სიმრალე, სინანული, ერთობა... ის რაც მოხდა, ხომ საქართველოს უბედურებაა, ჩვენი სამშობლოს ტრაგედია! ამ დროსაც თუ ერთად დგომა არ შეგვიძლია, მაშინ რანი ვართ ჩვენ. ნუთუ ასეთი გულცივივით, ცილისწამებით და გამოგონილი სიცრუით მიიპოვევენ ჩვენი ოპოზიციონერები ხალხის ნდობას?

გულნარა სტურუა



P.S. მართი რამ კიდევ მინდა ცნობის სახით შემოგანო, ჩემო სულგრძელო მკითხველო, ოპოზიციურად განწყობილი ტელეარხები შეუცვრებელივ, დღედაღამ მუშაობენ და ცრუ ინფორმაციებით წამლავენ საზოგადოებას. წინ აღმდგომი არავინ არის. სადა არიან ოპოზიციონერები? რეაქცია უნდა იყოს არა მატყუარებთან და ცილისწამებლებთან დაპირისპირებაში, არამედ სინამდვილის ასახვაში, მეტნიერებთან, სპეციალისტებთან და საქმის მცოდნეებთან მეტ კამათსა და დიალოგში.

მეზია საჭირო!



მართალია ზაფხულში დედაქალაქსა და დიდ ქალაქებში საცობები შედარებით მცირდება, რადგან ხალხი ქალაქიდან გასულია, მაგრამ გამოუვალად მდგომარეობა ამ მხრივ რიკოთზე და ავანის ტრასებზე.

ამას წინათ ტელევიზიით ვიხილეთ თუ როგორ აღელვებული საუბრობდა ინფრასტრუქტურის მინისტრი, მატონი ირაკლი ქარსელაძე რიკოთის უღელტეხილზე მიმდინარე სამუშაოების შესახებ, მან დეტალურად ახსნა მიმდინარე პროცესები. პასუხები დამაიმედებელი იყო, მაგრამ მოსახლეობას აინტერესებს როდის დასრულდება ისეთი პრობლემური და კარგა ხნის წინ დაწყებული პროექტები, რომლებიც არანაკლებ საჭიროა ჩვენი ქვეყნისთვის.

ასეთივე გახლავთ მათთვის საინფორმაციო შემოვლითი გზის მშენებლობა, თბილისის შემოვლითი გზის მშენებლობა, რომელიც ერთ-ერთად განტვირთავდა ქალაქში ტრანსპორტის პრობლემას, რით ვერ დასრულდა სამტრედია-გრი-

ვოლეთის მონაკვეთი, სადაც რიონმა ახალგაგებული ხილი წაიღო. მართალია, ჩვენი რელიეფი ძალიან რთულია, მაგრამ ის კომპანიები, რომელთაც ეს მშენებლობები აქვთ აღებული, კერძოდ ჩინური, უფრო რთულ რელიეფზე მუშაობენ თავიანთ ქვეყანაში და საოცრებებს აღწევენ. ჩვენს რელიეფზე უფრო რთულ ლანდშაფტზე აზერბაიჯანმა ექვსასკილომეტრიანი გზა სამ წელიწადში დაასრულა.

მეორე საკითხია საცობები, რომლებიც მრავალადაა თბილისში. მართალია მთელი საქართველოს ავტორანსპორტი დედაქალაქშია თავმოყრილი, მაგრამ აქაც შეიძლება გამოიხატოს გამოსავალი, იგივე შემოვლითი გზებითა და ქალაქიდან დამატებითი გასასვლელებით. დედაქალაქში სულ სამიოდე ხილია ასაგები, რომელიც ამ პრობლემას მოაგვარებს.

იქნებ ჩვენ, მოსახლეობამაც გამოვიჩინოთ ინიციატივა - „დედაქალაქი საცობების გაწევი!“ და ერთობლივად გადავწყვიტოთ ეს პრობლემა. მაინცდამაინც უხსოვლამ მოწვეულმა სპეციალისტებმა უნდა გვასწავლონ გზების დაგება და პრობლემების გადაჭრა, როდესაც ჩვენი პროფესიონალებიც საკმაოდ გვეყავს და მთელი ინსტიტუტებიც მუშაობენ ამ საკითხზე...

იქნებ გაზეთმა ხმა მიაწვდინოს შესაბამის უწყებებს...

პატივისცემით, თქვენი გაზეთის ერთგული მკითხველები პალნაზ იაშვილი, დავით ვასაძე



ბანსხალაბა აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306/6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი პოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ანზორ გურეშიძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. უძრავი ნივთის მესაკუთრე: ანზორ გურეშიძე (პ/ნ 60001129978), ქ. ქუთაისი, ლეჟავას ქუჩა (ყოფ. რუსთავი), №14, სართ. 2, ბინა 7

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ქ. ქუთაისი, ლეჟავას ქუჩა (ყოფ. რუსთავი), №14, სართ. 2, ბინა 7 (საკადასტრო კოდი: 03.01.23.270.01.007 <https://naprweb.reestri.gov.ge/> - /search<https://naprweb.reestri.gov.ge/> - /search).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი ხანივით ვალდებულებებით.

2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი: 33021.6 ლარი.

3. აუქციონის დაწყების თარიღი: 2023 წლის 22 აგვისტო, 14:00 საათი.

4. აუქციონის დასრულების თარიღი: 2023 წლის 6 სექტემბერი, 14:00 საათი.

5. აუქციონის ჩატარების ფორმა: ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები: განაცხადის №71271HZIP91826723; აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 920527

6. მოვალე: ანზორ გურეშიძე (პ/ნ 60001129978), ქუთაისი, ლეჟავას ქუჩა (ყოფ. რუსთავი) №14, სართ. 2, ბინა 7;

ელჟარდ ხუსკივაძე (პ/ნ 60001076543), ქუთაისი, ლეჟავას ქუჩა (ყოფ. რუსთავი), №14, სართ. 2, ბინა 7

7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი: შპს „ემჯი პოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.

8. აუქციონის პირობები:
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
 - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
 - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი - ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
 - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შექენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი პოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. აუქციონის პირობები: გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZIP91826723; ლოტის ნომერი: 920527). ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2023 წლის 1 სექტემბრის 12:00 საათამდე.



ტიტული

მაკას მსოფლიო


ქართველი სპორტსმენი პლანეტის პირველობაზე 67 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში გამოვიდა, 80 კილოგრამი დაძლია და პირველობა არაავის დაუთმო.

დუბაიში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატზე ქართველმა პარადალოსანმა მაკა კვინიამ ახალგაზრდებს შორის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

ხალიჩაზე

ისევ ტრიუმფი

მსოფლიო ჩემპიონმა ანზორ ბოლქვაძემ მკერდი იორდანის დედაქალაქ ამანში გამართულ 20-წლამდე მკერდულ-რომაული სტილით მოჭიდვეთა მსოფლიოს ჩემპიონატის ოქროს ტიტული მოიპოვა (87 კგ).



ლაძე (60 კგ), რამაზ ბოიძე (72 კგ); ვერცხლი - ლერი აბულაძე (63 კგ), ჭონი ხეცურიანი (67 კგ) და ოთარ აბულაძე (72 კგ).

ჩვენმა ოლიმპიურმა იმედმა ეგვიპტელ, ხორვატ, ყირგიზ, ფრანგ და ინანელ მეტოქეებს 42(!) ქულა აართვა მაშინ, როცა მათთვის მხოლოდ 4 გაიმეტა.

არაბულ ხალიჩაზე თავი არც რევაზ ლაშხის გუნდის დანარჩენ წევრებსაც შეურაცხვენიათ: ვერცხლი - გორ აივაზიანი (97 კგ); მრინჯაო - ანრი ფუტკარაძე (72 კგ), დათა ჩხაიძე (82 კგ).

დავძენთ, რომ მესამე საპრიზო ადგილის დაკავების შანსი კიდევ 2 ჯვაროსან თალაღანს ჰქონდა, მაგრამ თორნიკე მიქელაძემ (77 კგ) და ლუკა გაბისონიამ (130 კგ) იგი ვერ გამოიყენეს.

იმავე დღეებში ქართველმა კლასიკოსებმა წარმატებით იასპარეზეს რუმინეთის საერთაშორისო ტურნირშიც (ეროვნული ნაკრები): ოქრო - ფრიდონ აბუ-



მოვლენის წინ

ბაიფუნის პოლონიში

ამასობაში გაიჩვენა, რომ ჩვენებურთა მძიმე ფორვარდი ბექა ბურჯანაძე, რომელიც ამჯერად განაცხადში ვერ მოხვდა, კარიერას ესპანეთში განაგრძობს და ოქროს ლიგაში თავის ყოფილ კლუბში - კორუნიასში ითამაშებს.

რაც შეეხება კავკასიელთა პირველ მეტოქეს, აფრიკელები იტალიასა და ესპანეთში გაწეული შეკრებების შემდეგ იაპონიაში გამგზავრებამდე ამერიკაში ჩაფრინდნენ, სადაც საზოგადოებრივი ღონისძიებები მოაწყვეს უმნიშვნელოვანეს ტურნირში მონაწილეობის მისაღები თანხის შესავსებლად.

კერძოდ, ჯერ კაბო ვერდელები მასაჩუსეტის შტატის ქალაქ მოსტონში თანამემამულეთა ერთობ მდიდარ დიასპორას მუსიკალური ნომრების ჰანგამზე შეხვდნენ, ხოლო შემდეგ ასევე თვისებრივ ბავშვებთან ერთად დრო მინი ბანაკში გაატარეს.

და კიდევ: როგორც ტაიფუნებით ცნობილ რეგიონს, არაა გამოიციხული, ტროპიკულმა შტორმმა მუნდიალის დღეებში ოკინავასაც გადაუაროს, ამიტომ ფორუმის ერთ-ერთი მასპინძლის - ფილიპინების კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ალ პანლილიომ მზადყოფნა გამოთქვა, საჭიროების შემთხვევაში, იაპონური ჯგუფების მატჩებში მისმა ქვეყანამ მიიღოს. იმედია, საქმე აქამდე არ მივა.

როგორც იქნა, მილია მტანველი მოლოდინი და ხვალ აზიაში მსოფლიოს საკალათბურთო ჩემპიონატი აიღებს სტარტს, მისი დებიუტანტი - ილიას ზუროსის გაწვევითილი საქართველოს ეროვნული ნაკრები კი ისტორიულ პირველ შეხვედრას ზეგ თბილისის დროით დღის 12 საათზე კაბო ვერდეს გუნდთან იაპონიის კუნძულ ოკინავაზე გამართავს.

შეგახსენებთ, რომ ზურაბ საკანდელიძისა და ნიკოლოზ დერიუგინის სახით მუნდიალის გვირგვინონები უკვე გვყავს, მათმა ღირსეულმა მემკვიდრეებმა კი მოახლოებული ფორუმის წინ გენერალური რეპეტიცია საერთაშორისო რეიტინგის ერთ-ერთ ლიდერთან ავსტრალიასთან ლიეტუვასთან ამასწინანდელი სპარინგის მსგავსი სცენარით წარმართეს.

დაიხ, შესვენებამდე მწვანე კონტინენტის წარმომადგენლები სოლიდური უპირატესობით - 51:33 დაწინაურდნენ, მეორე ტაიმში კი ჯვაროსნები გამოცოცხლდნენ და მატჩის გადსარჩენად დრო აღარ ეყოთ - 81:86.



მედლები, პრიზი...

თურქეთის ქალაქ ბურსაში გაიმართა ყოველწლიური V საერთაშორისო ტურნირი კარატეში, რომელშიც მსოფლიოს 15 ქვეყნის 1500-მდე სპორტსმენს შორის საქართველოს შოტოკან კარატეს კონფედერაციის გუნდმაც მიიღო მონაწილეობა.

ჭაბუკა მახარაძე არის მსოფლიოს ოთხგზის და ევროპის ხუთგზის ჩემპიონი, ასევე მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული სპორტსმენი და წარმატებული ინსტრუქტორი, არის შავი ქამრის V დანის მფლობელი, საქართველოს შოტოკან კარატე კონფედერაციის უფროსი ინსტრუქტორი. საერთაშორისო ტურნირებზე ის 1998 წლიდან რეგულარულად წარმატებით ასპარეზობს, მოპოვებული აქვს ყველა სინჯის: ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს, საერთო ჯამში 100-ზე მეტი მედალი.

ამ პრესტიჟულ შეჯიბრზე, რომელიც თურქეთის კარატეს ფედერაციის ორგანიზებით მოეწყო, მსოფლიოს ოთხგზის და ევროპის ხუთგზის ჩემპიონმა ჭაბუკა მახარაძემ უფროსი კატეგორიის ინდივიდუალურ კატასა და კუმიტეს (+85 კგ) დისციპლინებში ვერცხლის მედლები დაიმსახურა და ასევე გადაეცა სპეციალური პრიზი თურქეთში წლების განმავლობაში წარმატებული ასპარეზობისთვის.

ზამპა მახარაძე, შოტოკან კარატე დოს მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი:

- თურქეთში, ბურსას საერთაშორისო ჩემპიონატზე პირველად 2011 წელს მივიღე მონაწილეობა და მას შემდეგ სტაბილურად წარმატებით გამოვსვამ. სპეციალური პრიზი თურქეთში წლების განმავლობაში წარმატებული ასპარეზობისთვის წელს თურქეთის კარატეს ფედერაციამ პირველად გადამიცა, რაც ჩემთვის პატივია და დასაფასებელი. მე ყოველთვის ვცდილობ, რომ ყველა ჩემპიონატზე წარმატებით ვიასპარეზო და ღირსეულად წარვადგინო ჩვენი ქვეყანა. ყოველთვის მახარებს, როცა კვარცხლბეგზე ვდგავარ და საქართველოს დროში ფრიალებს.

აღნიშნულ ჩემპიონატებზე ჭაბუკა მახარაძე 2005 წლიდან რეგულარულად მონაწილეობს და აღებული აქვს ყველა სინჯის 15-მდე მედალი.

2022 წელი განსაკუთრებით ნაყოფიერი აღმოჩნდა ჭაბუკა მახარაძის სპორტულ კარიერაში, აგვისტოში მან ტოკიოში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე 2 ოქროს მედალი მოიპოვა და მეოთხედ გახდა მსოფლიო ჩემპიონი, ხოლო იმავე წელს რუმინეთის ქალაქ კლუში ვეროპის ჩემპიონატზეც ოქროს მედალი მოიხვეჭა და მეხუთედ ხვდა ვეროპის ჩემპიონის ტიტული.

კორტზე

წყვილთა პარკაში

პილდები ერთი 40-ათასიანი ტურნირის გამარჯვებული გახდა წყვილთა თანრიგში თბილისელი ჩოგბურთელი ევატერინე გორგოძე. ამჯერად სლოვენელ დალილა იაკუპოვიჩთან ტანდემში ჩვენმა თანამემამულემ ყველას პოლონეთის ქალაქ ვროცლავის კორტზე გამართულ დუეტთა ასპარეზობაში აჯობა.



(ხორვატეთი) - 6:2, 6:3, მესამე ნომრები მიკულსკაიტე (ლიეტუვა), საკელარიდი (საბერძნეთი) - 6:3, 6:2 და ფინალში - ევალდი, კუჩერი (მასპინძლები - 6:4, 4:6, 10:7, საათსა და 42 წუთში).


მწვრთნელი

სუპერპეპი

საზღვრის დასაღწივად, გუნდის ტრავმირებული ლიდერის დე ბრუინისა და მარსელონაში გადასული გუნდოვანის გარეშე დარჩენილი მანჩესტერ სიტის თავდაცვა შეუგვარდითა კი ახალ-ახალ სიმაღლეებს აყვარებს.

ამჯერად კატალონიელმა სპეციალისტმა ძველი ოცნება აისრულა, მესამე კლუბთან ერთად (მარსელონა - 2 და ბაიერნი) მეოთხედ მოიგო უფას სუპერთასი და ამ მაჩვენებლით ასევე ლეგენდარულ კოლეგას კარლო ანჩელოტის გაუთანაბრდა. სატიტულო მრძოლის მედი სევილიასთან პენალტების სერიაში გადაწყდა - 5:4 (ძირითადი დრო - 1:1).

აღსანიშნავია, რომ ჩემპიონთა თასის ტრიუმფატორმა ბოლო



11 ცდიდან ჯილდო მეათედ მოიგო, ანდალუზიელები კი, პირიქით, მეექვსედ თამაშობდნენ საპატიო პრიზისთვის და მეხუთედ დამარცხდნენ.

პარალელურად, ქალაქელები ბრაიტონთან და არსენალთან ერთად ორი ტურის შემდეგ ქულათა მაქსიმუმით დაწინაურდნენ პრემიერლიგაშიც, სადაც გასულ უქმეებზე მშობლიურ იტიპლზე გამართული პრინციპული მატჩი საკმაოდ მოლონინერგულ ნიუკასლს მოუგეს - 1:0. გადაწყვეტი ბურთი აღვარესმა გაიტანა.

პარალელურად, ასევე ესპანურ ინგლისური ფინალით დასრულდა ქალთა მსოფლიო ჩემპიონატი ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის სტადიონებზე, რომელიც პირველად მოიგეს პირენელებმა - 1:0. ისინი, გერმანელთა მსგავსად, ორივე სქესში ფლოზენ უმაღლეს წოდებას. ოქროს გოლის ავტორ კარმონას სიხარული არ დასცალდა, რადგან მალევე აცნობეს მამის დალუპვის ამბავი. აღსანიშნავია, რომ შარშან იმერციელები მწვრთნელის გაშვებას ითხოვდნენ, მაგრამ ვითარება დედოფალმა ლეტიციამ განმუხტა.

და ბოლოს: ლეო მესიმ 44-ე ტიტული მოიხვეჭა. მისი ინტერ მაიამი ჩრდილოეთ ამერიკის ლიგის თასს ნემვილის ძღვეთ დაეუფლა - 10:9 (პენალტებით, ძირითადი დრო - 1:1). სხვათა შორის, ანგარში ლეო გახსნა.



მწუხარება სახალხო მხატვრის თეიმურაზ გოსაძის გარდაცვალების გამო

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი მწუხარებას გამოთქვამს საქართველოს სახალხო მხატვრის თეიმურაზ გოსაძის გარდაცვალების გამო.

ღარიბაშვილი მწუხარებას გამოხატავს თეიმურაზ გოსაძის გარდაცვალების გამო. განუმეორებელი ხელნერით შექმნილმა შემოქმედებამ ბატონ თეიმურაზს გამორჩეული ადგილი დაუმკვიდრა ქართული მხატვრობის ისტორიაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ნაყოფიერი მოღვაწეობა თანამედროვე სახვითი ხელოვნების განვითარებისა და ხელოვნება ახალი თაობების აღზრდის საქმეში. გულწრფელ სამძიმარს და თანადგომას ვუცხადებ ბატონი თეიმურაზის ოჯახს, ახლობლებს, კოლეგებსა და მთელ ჩვენს საზოგადოებას.

თეიმურაზ გოსაძე

თეიმურაზ გოსაძე სახალხო მხატვარი აკადემიაში აპოლონ ქუთათელაძის სახელოსნოში სწავლობდა. აკადემიის დამთავრების შემდეგ, 1965 წელს პირველი ნამუშევარი „ლურჯა ცხენები“ საგაზაფხულო გამოფენაზე წარადგინა. მის ფერწერაში მთავარი ადგილი უჭირავს მითოლოგიურ სიუჟეტებს, სიმბოლურ ხატებს, პატრიოტულ თემებსა და აბსტრაქციებს. თემო გოსაძეს შექმნილი აქვს დიდი ფორმატის, მონუმენტური ხასიათის ფერწერული ნამუშევრები. 1983-1988 წლებში ის იყო საქართველოს „მხატვრის სახლის“ დირექტორი, 1988-1995 წლებში – საქართველოს მხატვართა კავშირის მდივანი, 1988-2005 წლებში – საქართველოს სამუზეუმო-საგამოფენო გაერთიანების, „სურათების ეროვნული გალერეის“ გენერალური დირექტორი. 1994 წლიდან ასწავლიდა თბილისის კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტში, შემდეგ – თბილისის ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტში. მხატვარი წლების მანძილზე აქტიურ საგანმანათლებლო საქმიანობას ეწეოდა.

მხატვრის კოლექციები დაცულია მსოფლიოს ცნობილ მუზეუმებსა და გალერეებში. საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო მადლიერებით მიაგებს პატივს თემო გოსაძის ხსოვნას და თანაუგრძობს ოჯახს, კოლეგებს, საზოგადოებას.

საქართველოს კულტურის სამინისტრო

კიდევ ერთმა დიდმა ქართველმა ხელოვანმა დაგვტოვა და შეუერთდა მარადისობას. 82 წლის ასაკში გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი ფერმწერი, საქართველოს სახალხო მხატვარი

თეიმურაზ გოსაძე

განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ნაყოფიერი მოღვაწეობა თანამედროვე სახვითი ხელოვნების განვითარებისა და ხელოვნება ახალი თაობის აღზრდის საქმეში. საქართველოს კულტურის ფონდი მწუხარებას გამოთქვამს თემურ გოსაძის გარდაცვალების გამო, უსამძიმრებს ოჯახს, კოლეგებს და მთელ ჩვენს საზოგადოებას.

საქართველოს კულტურის ფონდის თავმჯდომარე
თამაზ შილაკაძე

საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემია ღარიბაშვილი მწუხარებით იუწყება ამავე აკადემიის წევრის, მისი ერთ-ერთი დამაარსებლის, გამოჩენილი მამულიშვილის, საქართველოს სახალხო მხატვრის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, პროფესორ

თეიმურაზ გოსაძის

გარდაცვალებას და თანაუგრძობს განსვენებულის ოჯახს.

საზოგადოება „კუს ტბის“ წევრები ღარიბაშვილი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაცვალება საქართველოს სახალხო მხატვარი, შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატი


თეიმურაზ გოსაძე

და თანაგრძობს უცხადებენ ოჯახის წევრებს და ახლობლებს.

სანთელი

ქვეყნისა და ხალხის წინაშე პალეოსდილი

ჰიდროგეოლოგი, მესხიერი, პროფესორი გუგა ჭოსონელიძე



გარდაიცვალა ცნობილი მეცნიერი, ახალგაზრდობის ღირსეული აღზრდელი და ღვაწლმოსილი ჰიდროგეოლოგი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოს-მდივანი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, გუგა ჭოსონელიძე.

სასახელო ცხოვრების გზა განვლო ბატონმა გუგამ – დაუღალავი შრომისა და არჩეული პროფესიის უდიდესი ერთგულების ფასად მიაღწია თვალსაჩინო სამეცნიერო და საზოგადოებრივ აღიარებას.

გუგა ჭოსონელიძე დაიბადა 1926 წლის 16 თებერვალს ქ. თბილისში. 1945 წელს წარჩინებით დაამთავრა საშუალო სკოლა და იმავე წელს სწავლა განაგრძო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტზე ინჟინერ-მშენებლის სპეციალობით. 1950 წელს ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, მუშაობდა დაიწყო მინგუჩაურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე ინჟინრად.

1953-1958 წლებში მუშაობდა საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელორაციის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში უმცროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე. 1958-1976 წწ. – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტში უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის, სწავლული მდივნის თანამდებობებზე. 1976-1982 წწ. იყო ამავე ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში. 1982 წელს პარალელურად სწავლა განაგრძო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ფაკულტეტზე სამთო ინჟინერ-გეოლოგის სპეციალობით.

1959 წელს წარმატებით დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1979 წელს სადოქტორო დისერტაციები.

1983-2004 წწ. იყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფუძე-საძირკვლების კათედრის გამგე. 2013 წლიდან დღემდე იყო ამავე უნივერსიტეტის პროფესორი.

პროფესორმა გუგა ჭოსონელიძემ მთელი თავისი ცხოვრება, სამეცნიერო თუ პედაგოგიური მოღვაწეობა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტს დაუკავშირა. გუგა ჭოსონელიძის სამეცნიერო ნაშრომები ეძღვნება საქართველოს სუსტი გრუნტების შესწავლას და მათი თვისებების გაუმჯობესების ღონისძიებებს. ბატონი გუგას მიერ შესწავლილია და დაწერილია ანგარიშები ენგურის ჰიდროელექტროსადგურის, ქალაქების – თბილისის, რუსთაველისა და ფოთის საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებზე.

პროფესორი გუგა ჭოსონელიძე 100-ზე მეტი სამეცნიერო შრომის, მათ შორის 2 მონოგრაფიის, 2 გამოკვლევისა და 3 სახელმძღვანელოს ავტორია. მის მიერ შექმნილ სახელმძღვანელოებზე აღიზარდა მშენებლობის დარგის სპეციალისტთა მრავალი თაობა. ბატონი გუგა აქტიურად მონაწილეობდა რესპუბლიკურ და საერთაშორისო სამეცნიერო და სამეცნიერო-ტექნიკურ კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში. მისი ხელმძღვანელობით შესრულებულია მრავალი გამოკვლევა. გაცემული აქვს ორასამდე საექსპერტო დასკვნა მშენებლობასთან დაკავშირებული ობიექტების საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებზე. მისი ხელმძღვანელობით დაცულია საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები.

მეცნიერების განვითარებისა და ახალგაზრდა სპეციალისტთა აღზრდის საქმეში განუღებელი ღვაწლია პროფესორ გუგა ჭოსონელიძის დამსახურებული ავტორიტეტი და აღიარება მოუპოვა. იგი არჩეული იყო საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოს-მდივნად.

გუგა ჭოსონელიძეს მინიჭებული აქვს საქართველოს დამსახურებული მშენებლის წოდება და დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით.

პროფესორი გუგა ჭოსონელიძე ეროვნული ტექნიკური ინტელიგენციის ქვეშარტად ღირსეული წარმომადგენელია.

ღირსეული მეცნიერის, ახალგაზრდობის აღზრდელის გუგა ჭოსონელიძის სახელი დიდხანს იცოცხლებს მათ მოგონებებში, ვისთანაც უმუშავია, ვინც ალუბარდია და ცხოვრების ნათელ გზაზე დაუყენებია ამ ღირსეულ, კაცთმოყვარე და უაღრესად კეთილშობილ პიროვნებას.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს ბატონი გუგას უკვდავი სული, ვალდობდელი ქვეყნისა და ხალხის წინაშე.

ბატონი გუგას, როგორც სიკეთით სავსე პიროვნების სახელი, რომელმაც თავისი მალაღობრივი თვისებებით და პროფესიული საქმიანობით ნათელი ხსოვნა დატოვა, სამუდამოდ დარჩება მოწაფეების, კოლეგებისა და ახლობლების გულში, რომლებიც დიდი პატივისცემით მოიგონებენ მას.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები და თანამშრომლები გულსტკივილით თანაუგრძობენ ბატონ გუგას ოჯახს, ახლობლებსა და კოლეგებს.

ღმერთმა ნათელი და მარადიული სასუფეველი დაუმკვიდროს გუგა ჭოსონელიძის სულს იქ, სადაც მართალნი განისვენებენ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი



და საძებარნი დაურჩებით ობლად!

მეგახსის სულით შეპყრობილმა ქკუა დაგკარგეთ, ვყიდით ყველაფერს - ვყიდით სოფლებს, ვყიდით ქალაქებს, სიკვდილი კარზე მოგვდგომია, არც კი გვანადვლებს, რასაც გვეტყვიან, ჩვენც უსიტყვოდ იმას ვქადაგებთ... დაფიქრდეთ მაინც, ქართველობა რაში ვაგვცვალეთ. ეკრანის მრუში დედაკაცი ქკუას გვარიგებს, მწვანე შუქს ვუნთებთ დაუბანელ ნარკობარიგებს. ახალგაზრდობა გაიკრიფა, ვინ სად და ვინ სად, დაბერდა ვრი, წყლის მომტანიც აღარავინ ჩანს, „აღვერიენით ვრსა უცხოს“ დაშრა ქართველი, წვრილმა ამბებმა ვაგვიტაცა, არ ჩანს საშველი. გზა გასაქცევიც მოვიჭყერთ, ვისეტიალეთ, სწორი გზის ნაცვლად ბევრჯერ მრუდვ გზებით ვიარეთ და ერთგნული ენერგია უაზროდ ვოვლანგეთ! ვინ უბატონებს რუსთაველს და ველათის ტაძარს ან სვეტიცხოველს, იქ დამარხულ წინაპართ საოვლავს. ჰა, თცდაათი წელი ვიყოთ კიდევ ამ სოფლად და შემდეგ სანთლით საძებარნი დაურჩებით ობლად. რა ბასუსს ვაგვცემთ დავითს, თამარს და ობიზარებს, უნდა მოვუხმთ ერთობისკენ ერთგნულ ძალებს! უნდა შემოვკრათ სიყვარულის უუახვავ ზარებს. ნუ ვკარგავთ სახეს, ქართულ სულს და ქართულ ბუნებას, ჯერ კიდევ დროა, რომ მოვუხმთ ნიჭს ვამრავლების და ვეზიართთ სხვებთან ერთად სულს უკდავების!

ანზორ თოთაძე



„ღამის სერენადები“ - ბორჯომში

მეთხუთმეტე საერთაშორისო ფესტივალი „ღამის სერენადები“ ქალაქ ბორჯომში გაიხსნა. ფესტივალის დამფუძნებელი მსოფლიოში ცნობილი მევიოლინე და დირიჟორი ლიანა ისაკაძეა. ღონისძიებაში მონაწილეობენ მსოფლიოში აღიარებული ქართველი და უცხოელი ვარსკვლავები, ასევე ახალგაზრდა ნიჭიერი მუსიკოსები. „ღამის სერენადები“ საქართველოში ყველაზე ხანგრძლივი ისტორიის მქონე საერთაშორისო ფესტივალია, რომლის არსებობაც 41 წელს ითვლის. ფესტივალის ფარგლებში კიდევ 5 კონცერტი ჩატარდება თბილისსა და ბათუმში.



21-ე საუკუნეში ბავშვები უიოშილით კვდებიან


ორგანიზაცია Save the Children-ის ინფორმაციით, სუდანში დაახლოებით 500 ბავშვი გარდაიცვალა შიმშილისგან. ორი ათეული დაიღუპა ბავშვთა სახლში მას შემდეგ, რაც აღმოსავლეთ აფრიკის ქვეყანაში აპრილში მზდობა და შეტაკებები დაიწყო. ორგანიზაციის ცნობით, სულ მცირე 31,000

ბავშვს არ აქვს წვდომა არასრულფასოვან საკვებზე და მასთან დაკავშირებული დაავადებების მკურნალობაზე. საქველმოქმედო ორგანიზაცია იძულებული გახდა, სუდანში 57 კვების ობიექტი დაეხურა. „არასდროს გვეგონა, რომ ასეთი რაოდენობით დავინახავდით შიმშილისგან გარდაცვლილ ბავშვებს. სუდანში მიიმე რეალობაა“, - თქვა Save the Children-ის სუდანის დირექტორმა არიფ ნურმა. გენოს აღამიანის უფლებათა ოფისის ხელმძღვანელის ლიბ თროსელის თქმით, სუდანში ძალადობას სულ მცირე 4000 აღამიანი შეეწირა, თუმცა ადგილზე მყოფი აქტივისტები და ექიმები ამბობენ, რომ დაღუპულთა რიცხვი, სავარაუდოდ, გაცილებით მეტია. „ეიზისი ნიუსის“ ინფორმაციით, სუდანის დედაქალაქ ხართუმის საზღვრეთ კვლავ გრძელდება შეტაკებები.



სარენა უილიამსი ორი ქალიშვილის დედაა

ღმინდარულ ჩოგბურთელ სერენა უილიამსსა და მის მეუღლეს, გიმნესმენ ალექსის ოპინიანს მეორე ქალიშვილი შეეძინათ. ინფორმაცია ამის შესახებ წყვილმა Facebook-ზე დაადასტურა. გოგონას აღინა რივერი დაარქვეს. პირველი ქალიშვილი, ოლიმპია, წყვილს 2017 წელს შეეძინა.



„სოსკაპარვია“ კასი

068ლსში, ესეცის პოლიციამ დააკავა კაცი, რომელიც ბავშვებს მატყუნა საწოვარებს ანთმევდა. მრალდებული 23 წლის კაცია, რომელმაც 10 თემწრულიდან 7 აგვისტოს პერიოდში 4 ბავშვს საწოვარა პირიდან ამოაცალა. ამ ეტაპზე უცნობია რა გახდა დანაშაულის მიზეზი. ახალგაზრდა სასამართლოს წინაშე ოთხშაბათს წარდგება.

გარდაიცვალა ლეგენდარული ტოტო კუტუნო

იტალიელი მომღერალი და კომპოზიტორი სალვატორე „ტოტო“ კუტუნო 80 წლის ასაკში, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა. მომღერლის გარდაცვალება მისმა მეწეწრმა ოფიციალურად დაადასტურა. მეწეწრის ინფორმაციით, იტალიელი ვარსკვლავი სან-რეაფელეს საავადმყოფოში გარდაიცვალა. კუტუნო მთელ მსოფლიოში ცნობილი გახდა თავის პიტით „L'Italiano (L'Italiano (Lasciati Cantare))“, რომელიც შესულია ალბომში „I Grandi Successi ieuwtecb“. მან ორჯერ მოიგო სან-რემოს სიმღერის ფესტივალი.



საქართველოს რესპუბლიკა SAKARTVELOS RESPUBLIKA
მთავარი რედაქტორი საბარტაძე ძოგუღია 599 36-00-35
მთავარი რედაქტორის მოადგილე მამუკა ვაშაძიძე 597-22-07-04
ტექნიკური რედაქტორი კახა ძორიძე
ბასუსისმეგველი რედაქტორები:
გურამ გომიანშვილი 599 53-76-16;
ალექო ასლანიშვილი 599 56-81-86;
ბამომცემლები:
შპს 100 - ახალი
„საქართველოს რესპუბლიკა“
გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი 599 36-00-35
შპს „თანადგომბა“-1-გაზეთ
„საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი
ტ: 599 79-76-79
იკაძედაბა სტამბა
„ქოლორი“
ი. ბაღდაშაძის №3
კოლორი ჯაგანი
uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323

გაზეთის მომღვანო ნომერი გაეოვა ორშაბათს, 28 აგვისტოს

Table with contact information for Topko Publishing House, including phone numbers and website addresses.